

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



ვერიკო პაპიძე

ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი  
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,  
სპეციალობაში - ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

მერაბ ჯიქია

თბილისი 2019

## ანოტაცია

მოცემული ნაშრომი წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტმა ვერიკო პაპიძემ. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამაგისტრო ნაშრომის თემა არის - ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მაგალითზე.

ნაშრომში მოცემულია საწარმოს ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ანალიზი, შესაბამისი მეთოდებისა და მაჩვენებლების გამოყენებით. უპირველეს ყოვლისა, გაანალიზებული „სრული შემოსავლების ანგარიშგება“, განხილულია შემოსავლების, ხარჯების და მნიშვნელოვანი მაჩვენებლების დინამიკური, სტრუქტურული და ფაქტორული ანალიზი. მომგებიანობის შეფასებისა და ანალიზის შემდეგ გაანალიზებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ შეფასებულია ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობისა და საწარმოო-საფინანსო ლევერიჯის საკითხები, შესაბამისი მაჩვენებლების ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ფაქტორული ანალიზით.

აღნიშნული ნაშრომი მოიცავს საანალიზო საწარმოს როლისა და საქმიანობის ზოგად შეფასებას, ხოლო საანალიზო საწარმოს შედეგების შეფასებით საბოლოო ჯამში ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები.

# Analysis of financial results and financial position

(based on the records of LTD Georgian Water and Power)

Veriko Papidze

## Annotation

The given Master's thesis was presented by the student of master program faculty of Economics and Business at Tbilisi State University Veriko Papidze.

Master's thesis is done for the purpose to get Master degree of Business Administration. The topic of the master's thesis is – Analysis of financial results and financial position (based on the records of LTD Georgian Water and Power).

Here is an analysis of the financial results and condition of the enterprise, by using appropriate methods and indicators. First of all analyzed "full revenue report", reviewed revenues, expenses and significant indicators by dynamical, structural and factor analysis.

After profitability assessment and analysis, we got picture of enterprise about financial situation. In particular assessed providing of financial resources, solvency and liquidity and production-financing leveraging issues by horizontal, vertical and factor analysis of the corresponding indicators.

This theme is an analysis of enterprise of the role and general assessment of the activity. By assessing the results of the analysis, the final conclusions and ways of improving efficiency are set out.

## შინაარსი

შესავალი.....	5
თავი1: საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი .....	11
1.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია .....	11
1.2 კაპიტალდაბანდებების და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი .....	37
1.3 მისაღები გადაწყვეტილებების ანალიზი „ მოცულობა-ხარჯები-მოგების ანალიზი“ ურთიერთკავშირის ანალიზი .....	39
თავი2: ფინანსური მდგომარეობის ანალიზი .....	43
2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი.....	43
2.2 საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის შეფასება და ანალიზი .....	56
2.3 ფულადი ნაკადების მოძრაობა.....	66
2.4 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი .....	71
2.5 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი.....	73
დასკვნა.....	79
გამოყენებული ლიტერატურა .....	83

## შესავალი

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირების ძირითად მიზანს, საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა და საბოლოო ჯამში მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს. ამიტომ ფირმას უნდა შეეძლოს შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება, რაც გულისხმობს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებით, მაქსიმალური შედეგის მიღებას.

სწორედ ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ანალიზი იძლევა პასუხს კითხავზე, რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს საწარმო და რამდენად ფლობს უნარს მიიღოს მოგება.

„ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური, უნივერსალური ფაქტორია“ [რ.აბესაძე 2015:38] ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განიცდის წყლის რესურსის ნაკლებობას, მის შექმნა-დამუშავებასა და მოსახლეობისთვის უზრუნველყოფას საკმაოდ დიდი შრომითი და მატერიალური რესურსები ჭირდება. წყალი წარმოადგენს, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტს, ასევე მის სწორ უზრუნველყოფაზე დიდაა დამოკიდებული საწარმოების ნორმალური ფუნქციონირება.

მოცემული კვლევითი **ნაშრომის ობიექტს**, სწორედ წყალმომარაგების ერთ-ერთი ფირმა წარმოადგენს. დღევანდელი მონაცემებით საქართველოს წყალმომარაგების სექტორში ოპერირებს წყალმომარაგების 9 ლიცენზიატი. მათგან 5 წარმოადგენს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფ საწარმოს, ხოლო 4- კერძო საკუთრებას. აქედან შპს GWP წარმოადგენს კერძო საწარმოს, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის წყალმომარაგებას, სწორედ ამ საწარმოს მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ თუ რა როლი უჭირავს მას ამ სფეროში და ფინანსური ანალიზის მეშვეობით დავადგინოთ მისი ფუნქციონირების ეფექტიანობა და შედეგები. ის მიეკუთვნება ბუნებრივ მონოპოლიას და რეგულირდება „საქართველოს

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ. უკანასკნელს აქვს უფლება გამოიკვლიოს საწარმოს საქმიანობის ასპექტები და გააკონტროლოს ფასები.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. ის დაფუძნდა 1997 წლის 23 მაისს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების საფუძველზე და ჩამოყალიბდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2008 წელს კომპანია პრივატიზებული იქნა და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი-მ“ შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც ფლობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობდა შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“ (“GGU” ან “უშუალო მშობელი კომპანია”), რომელსაც საბოლოოდ მართავდა ბ-ნი ანდრეი ნ. რაპაპორტი. 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს “GGU” აქციების 25%-ს ფლობს BGEO Group PLC (მანამდე ცნობილი Bank of Georgia Holdings plc - საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანია). 2016 წლის ივლისში „BGEO“ გახდა კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია 100% საკუთრების წილით.

კომპანია თბილისის მოსახლეობას, სახელმწიფო დაწესებულებებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფს. დედაქალაქის წყალმომარაგებასა და წყალარინების მომსახურებაზე კომპანიის 3000-მდე თანამშრომელი ზრუნავს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ წყლის რესურსებს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი გზით მოიპოვებს, ქმნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტს- ხარისხიან სასმელ წყალს, ახდენს მის ტრანსპორტირებასა და მომხმარებლისთვის მიწოდებას. კომპანია წყალარინების (კანალიზაცია) მომსახურებასაც ეწევა და მოხმარებული წყლების გატანას საკანალიზაციო ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს. ის ელექტროენერგიასაც გამოიმუშავებს. ელექტროენერგიის წარმოება ჟინვალჰესსა და თეთრიხევჰესზე ხდება. ორივე ჰესი

საქართველოს ერთიან ელექტროსისტემაშია ჩართული, გამომუშავებული ელექტროენერჯია კი დედაქალაქის წყალმომარაგების ობიექტების ფუნქციონირებას ხმარდება.

საწარმოს მომგებიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ მესაკუთრეები, არამედ ინვესტორები, მენეჯერები, დასაქმებული პერსონალი, სახელმწიფო და მთლიანად საზოგადოება. წარმატებული საწარმოები თავისმხრივ იწვევს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

აღნიშნული საწარმოს კვლევის მიზანს წარმოადგენს, ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ანალიზის მეშვეობით, საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა და გაუმჯობესების გზების გამოვლენა. მისი ეფექტიანობა კი დამოკიდებულია ფინანსურ შედეგებზე. შედეგების ანალიზის საშუალებით მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას თუ როგორ ფუნქციონირებდა საწარმო განსახილველ პერიოდში, როგორი უკუგება მიიღო საწარმომ მის განკარგულებაში არსებული რესურსებიდან, როგორი ეფექტიანობით იყენებდა საწარმო რესურსებს და არის თუ არა მისი შედეგები დამაკმაყოფილებელი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ამიტომ ანალიზის მიზნებს წარმოადგენს პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- როგორი სტაბილურობით ხასიათდებოდა მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები;
- რამდენად ეფექტიანად ხდებოდა დანახარჯების გაწევა;
- როგორი იყო დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობა;
- რამდენად ეფექტიანად ხორციელდებოდა წარმოება;
- როგორი იყო საწარმოს ფინანსური მდგრადობა;
- როგორი იყო საწარმოს გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა და სხვა.

საბოლოოდ ანალიზის ამოცანებს წარმოადგენს: მომხმარებელთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა; დანახარჯების შემცირების გზების დადგენა; შემოსავლების ზრდის გზების დადგენა; მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა.

ნებისმიერი ფირმის ძირითად მიზანს მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს. მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავალსა და ფირმის მთლიან დანახარჯებს შორის. ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ-ერთის თანახმად რაციონალური ადამიანები გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრული ანალიზით სარგებლობენ. ამიტომ ფირმა მოგების მაქსიმიზაციას ახდენს როცა ზღვრული შემოსავალი (MR) ზღვრული დანახარჯის (MC) ტოლია. ხოლი წარმოება ეფექტიანია როცა ზღვრული დანახარჯი ფასის ტოლია, რაც მიიღწევა კონკურენტული ფირმების მეშვეობით. ხოლო მონოპოლიური ფირმებისთვის ზღვრული შემოსავალი ფასზე ნაკლებია ამიტომ მოგების მაქსიმიზაციისას სრულდება შემდეგი ტოლობა  $MR=MC < P$  რის შედეგადაც წარმოიქმნება საზოგადოებრივი დანაკარგები, ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში ხორციელდება მონოპოლიის რეგულირება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დოვლათის მოხმარების დროს (საფოსტო მომსახურება, ელექტროენერგია, წყალი, გაზის მომსახურება) საზოგადოებას საქმე აქვს ბუნებრივ მონოპოლიასთან. საზოგადოება მწარმოებელს აძლევს უფლებას ქონდეს მონოპოლია, მაგრამ შემდეგ არეგულირებს მის ფასებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ფირმა უზრუნველყოფს წყლის მომარაგებას, რომლებიც რეგულირდება „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების უზრუნველყოფის ეროვნული კომისიის“ მიერ. ამიტომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ შეიძლება მივაკუთვნოთ ბუნებრივ მონოპოლიას. „დარგი ბუნებრივი მონოპოლიაა, როდესაც ერთ ფირმას უფრო მცირე დანახარჯებით შეუძლია საქონლისა და მომსახურების მოცემულ ბაზარზე მიწოდება, ვიდრე ორ ან მეტ ფირმას“ [გ.მენჯიუ 2008 :300]. ის ჩნდება მაშინ, როდესაც გვაქვს წარმოების მასშტაბის ეკონომიურობა პროდუქციის შესაბამისი მოცულობის დროს და შესაბამისად ფირმებს აქვთ კლებადი საშუალო დანახარჯები. ამ შემთხვევაში წყლის მიწოდების ძირითადი დანახარჯები არის მიღების ქსელი. თუ მიღები ერთხელ უკვე გაყვანილია, ერთი დამატებითი მომხმარებლისთვის წყლის მიწოდება ძალიან მცირე დანახარჯებს უკავშირდება. ნათელია, რომ მიღების ორი ქსელის არსებობა ორი მეზობლისთვის წყლის მისაწოდებლად არაეფექტიანი იქნება. მაშასადამე, გარკვეული



კომისიების მიერ ხორციელდება ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირება, რომლის მიზანია ეკონომიკურად ხელსაყრელი წარმოების მასშტაბის მიღწევა.

რეგულირების სამი მეთოდი შეიძლება გამოვყოთ: 1. კომისიის მიერ საშუალო დანახარჯების ტოლი ფასის დაწესება; 2. ორნაწილიანი ტარიფი- ეს არის ისეთი პოლიტიკა, როცა მომხმარებელი ჯერ იხდის ფიქსირებულ თანხას მომსახურების უფლებაზე და შემდეგ ერთ ერთეულზე იხდის ფასს, რაც წარმოების ზღვრულ დანახარჯს ასახავს; 3. უბრალოდ უბრძანო მონოპოლისტს-აწარმოოს საზოგადოებრივად ეფექტიანი მოცულობა შესაბამის ფასად, მაგრამ გამოიყენოს სახელმწიფო სუბსიდიები ზარალის დასაფარავად. [ი.გაგნიძე 2015 :4]

მოცემულ რეგულირებასთან დაკავშირებით კომისია რთული ამოცანის წინაშე დგას- მნელია დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ბუნებრივი მონოპოლიის მართვა ეფექტიანია და შესაძლებელი. ამიტომ შპს GWP-ის ფინანსური შედეგების ანალიზის ჩატარება მეტად აქტუალურია.

აღნიშნული მიზნების მიღწევა ხორციელდება, შესაბამისი ფინანსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

საანალიზი საწარმოს შეფასებისთვის ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი მეთოდები: ჰორიზონტალური ანუ დინამიკური, ვერტიკალური ანუ სტრუქტურული, ფაქტორული და კოეფიციენტების(მაჩვენებელთა)ანალიზი. გარდა ამისა მნიშვნელოვანია მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხებიც, მათგან აღსანიშნავია: 1. აბსოლუტური სხვაობა და ჯაჭვური ჩასმა; 2. კორელაციისა და კოვარიაციის კოეფიციენტები. სადაც, აბსოლუტური სხვაობის და ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება მაჩვენებლების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვის მიზნით( ფაქტორული ანალიზი), ხოლო მაჩვენებლებს შორის კავშირის სიძლიერის დასადგენას გამოიყენება კოვარიაციის კოეფიციენტი.

ვინაიდან შპს „GWP“ ნორამლურ ფუნქციონირებაზე დიდადაა დამოკიდებული წყალმომარაგება და მთლიანად მოსახლეობის კეთილდღეობა, მისი ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული კი ხორციელდება საწარმოს ბოლო 3-4 წლის ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და ფართოდ აღიარებული ანალიზის მეთოდებისა და მაჩვენებლების საფუძველზე.

# თავი 1: საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი

## 1.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია

საწარმოს საქმიანობის შედეგების ანალიზი ხორციელდება შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მაჩვენებელი ეკონომიკურ მოვლენას ახასიათებს რაოდენობრივად, თვისობრივი მხარის გათვალისწინებით. ანალიზის დროს ძირითადად გამოიყენება აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები, სადაც პირველი საკვლევ მოვლენას ახასიათებს რაოდენობრიობაში, ხოლო მეორე ასახავს რაიმეს თვისობრიობას და მიიღება აბსოლუტური მაჩვენებლების ფარდობით.

ვინაიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლები, მათ საფუძველზე შეიძლება მნიშვნელოვანი კოეფიციენტების გამოთვლა და მათი მეშვეობით დასკვნების გაკეთება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითად მეთოდებია:

- ჰორიზონტალური ანალიზი;
- ვერტიკალური ანალიზი;
- კოეფიციენტების ანალიზი.

ჰორიზონტალური ანალიზი გულისხმობს საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შედარებას საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ხოლო ვერტიკალური ანალიზი გულისხმობს პროპორციულ ანალიზს. ანალიზის დროს გამოიყენება აგრეთვე მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხებიც, მათგან აღსანიშნავია: 1. აბსოლუტური სხვაობა და ჯაჭვური ჩასმა; 2. კორელაციისა და კოვარიაციის კოეფიციენტები. ანალიზის დროს მნიშვნელოვანია საჭირო ინფორმაციის გაანალიზება და ცხრილების შედგენა.

პრაქტიკული მაგალითის, კერძოდ კი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ ბოლო სამი და ოთხი წლის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე, განვიხილოთ საწარმოს ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის საკითხები. სწორედ აღნიშნულ

თავი დაეთმობა საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზს. ანალიზში გამოყენებულია შესაბამისი მაჩვენებლები და სამი ძირითადი მეთოდი: ჰორიზონტალური (დინამიკური), ვერტიკალური (სტრუქტურული) და კოეფიციენტების ანალიზი. ინფორმაციის ძირითად წყაროს კი წარმოადგენს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება.<sup>1</sup>

### **სრული შემოსავლების ანგარიშგების ზოგადი მიმოხილვა**

მოგება-ზარალის ანგარიშგება გვაწვდის ინფორმაციას საწარმოს ფინანსური აქტიურობის შესახებ ანუ მასში მოცემულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი და შესაძლებელია შევისწავლოთ ბიზნესის ფინანსურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.

მოგება-ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის პრინციპით, რომლის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ანუ შემოსავლების ასახვის საფუძველია საქონლისა და მომსახურების გაყიდვის მომენტი, იმის მიუხედავად, გაყიდვა ხორციელდება ნაღდი თუ უნაღდო ფორმით. ხოლო ხარჯების აღიარება ხდება შესაბამისობისა და დარიცხვის პრინციპებით, რომელიც მოითხოვს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და შემოსავლების ერთდროულად აღიარებას, მიუხედავად იმისა, გადახდილია თუ არა ფული.

მოგება-ზარალის ანგარიშგება შეიძლება ორი მეთოდით მომზადდეს. 1. როცა დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით და მეორე, როცა დაჯგუფებულია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტი მხოლოდ ერთგვაროვან ხარჯს შეიცავს. ესენია: მასალის ხარჯი, ცვეთის ხარჯი, შრომითი ხარჯი, დანარჩენი ხარჯები.

დანახარჯების ფუნქციური მუხლი ხარჯვის მიზნობრიობის მიხედვით ფორმირდება. ერთი მიზნით გაწეული ხარჯები ერთ მუხლში ერთიანდება, ესენია:

---

<sup>1</sup>ქვემოთ მოცემულ ცხრილებში აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის მონაცემები აღებულია შპს „GWP“-ის ფინანსური ანგარიშგებიდან, 2014, 2015, 2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- ❖ საწარმოო ხარჯები, რომელშიც შედის: ძირითადი მასალის ხარჯი, ძირითადი შრომითი ხარჯი და საწარმოო ზედნადები ხარჯები. ეს ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯებია;
- ❖ კომერციული ხარჯები, რომელსაც მიეკუთვნება: მზა პროდუქციის შეფუთვის, რეკლამის, გაგზავნის და დისტრიბუციის ხარჯები;
- ❖ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც საერთო მმართველობითი ხარჯებია;
- ❖ სხვა ხარჯები, მასში ძირითადად შედის არასაოპერაციო ხარჯები.

მოგება/ზარალის ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად ინვესტორები იგებენ რამდენად კარგად და გამართულად მუშაობს საწარმო, გამოიმუშავებს თუ არა იგი ფულს. როგორც წესი საწარმომ მეტი ფული უნდა მიიღოს ვიდრე ხარჯავს, ამიტომ ანგარიშგებაში შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ხარჯებს.

მოცემული ანგარიშგების ანალიზის დროსაც შეიძლება გამოვთვალოთ საკუთრივ ავტონომიური და კომბინირებული მაჩვენებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ანალიზის დროს. აქ შეიძლება გამოვყოთ აქტივების მომგებიანობა, საკუთარი კაპიტალის უკუგება და სხვა. ავტონომიური კოეფიციენტებიდან მნიშვნელოვანია მარჟა და ფასნამატი.

მარჟა= მოგება რეალიზაციიდან\*100/შემოსავალი რეალიზაციიდან

მარჟა გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საწარმოს მდგომარეობას საქონლის ბირჟაზე.

ფასნამატი=მოგება რეალიზაციიდან\* 100/რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება

ფასნამატი გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯზე. მას ძირითადი საქმიანობის რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი ყოველთვის აღემატება მარჟას.

მოცემული საანალიზო საწარმოს, კერძოდ კი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება-ზარალის ანგარიშგება, რომელიც შედგენილია დანახარჯების ეკონომიკური ელემენტების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი (1.1.1)

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მოგება/ზარალის ანგარიშგება 2017წ.

(დანახარჯთა ელემენტების მიხედვით)

მაჩვენებლები	თანხა (ათასი ლარი)
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	107,766
შემოსავალი ელ.ენერჯის რეალიზაციიდან	6,423
სხვა შემოსავალი	4,535
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>118,724</b>
შრომითი ხარჯები	(17,460)
ელ.ენერჯის და გადაცემის ხარჯი	(12,964)
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	(2,590)
ტექნიკ.მომსახურების ხარჯი	(3,116)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,473)
გადასახ.ხარჯი(მოგებ.გარდა)	(3,339)
პროფესიული გასამრჯელო	(2,279)
სავაჭრო დებიტ.დავალიანების გაუქმების ხარჯი	(656)
იურიდიული სარჩელის ხარჯი	4
სხვა შემოსავალი	1,738
სხვა საოპერაციო ხარჯი	(10,892)
<b>სულ ხარჯები</b>	<b>(55,027)</b>
<b>შემოსავალი ცვეთის, პროცენტის და მოგების გადას.დარიცხვამდე.</b>	<b>63,697</b>
საპროცენტო შემოსავალი	5,049
საპროცენტო ხარჯი	(13,793)

საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(695)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17,771)
სხვა არარეგულარული ხარჯები	(1,709)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>34,778</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	0
<b>წმინდა მოგება</b>	<b>34,778</b>

მოცემული წარმოადგენს ზოგად სურათს, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ხარჯებს, რაც დაკმაყოფილებულია. ხოლო მისი ელემენტების დეტალური ანალიზი მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემს.

**ფინანსური შედეგების ზოგადი (გარე) ანალიზი**

საწარმოს ფინანსური შედეგების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ მოგება/ზარალის ანგარიშგება. საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ბოლო ცვლილებით მას სრული შემოსავლების ანგარიშგება ეწოდება, თუმცა საწარმოს შეუძლიათ ძველი სახელწოდებითაც ისარგებლონ. მასში მოცემულია საწარმოს შემოსავლები და ხარჯები, ხოლო მათი სხვაობით მიიღება საწარმოს მოგება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოგება/ზარალი მზადდება ორი მეთოდით, დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით და დანახარჯთა ელემენტების მიხედვით. ორივე მეთოდის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახის მოგება:

1. მოგება რეალიზაციიდან(დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით), რომელიც მიიღება შემოსავალი რეალიზაციიდან გამოკლებული რეალიზებული პროდუქციის/ საქონლის თვითღირებულება.
2. საოპერაციო მოგება-მოგება რეალიზაციიდან გამოკლებული კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები;
3. მოგება დაბეგვრამდე-საოპერაციო მოგებას დავუმატოთ საპროცენტო შემოსავლები და დავაკლოთ საპროცენტო ხარჯი;

4. წმინდა მოგება-მოგება დაბეგვრამდე გამოვაკლოთ მოგების გადასახადი;
5. გაუნაწილებელი მოგება-წმინდა მოგებას გამოვაკლოთ დივიდენდები და რეზერვები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის: ძირითადი მასალის ხარჯი, ძირითადი შრომის ხარჯი, საწარმოო ზედნადები ხარჯები. საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც პროდუქციის დამზადების პროცესის მოსახურებაზე იხარჯება. ესენია: ძირითადი მანქანა-დანადგარების ცვეთისა და მოვლის ხარჯები, ძირითადი განყოფილებების პერსონალის ხელფასის ხარჯები, საწარმოო დანიშნულების შენობის ცვეთის ხარჯი.

რაც შეეხება დასაბეგრი მოგების განხილვას, ამ მაჩვენებლთან მიმართებაში საქართველოს საგადასახადო კოდექსი გვთავაზობს ე.წ „ესტონურ მოდელს“. ტრადიციულად დასაბეგრი მოგებას აკლდებოდა მოგების გადასახადი (15%) და მიიღებოდა წმინდა მოგება, ხოლო შემდეგ გაიცემოდა დივიდენდები. ესტონური მოდელის მიხედვით კი დასაბეგრი მოგების მიღების შემდეგ ორგანიზაციამ უნდა გააკეთოს არჩევანი გასცეს დივიდენდი თუ მოახდინოს მოგების რეინვესტირება. ესტონური მოდელის მიხედვით იბეგრება მხოლოდ დივიდენდად გაცემული მოგების ნაწილი. ეს მეთოდი ხელს უწყობს ბიზნესის ზრდას, რადგან მესაკუთრეებს უჩნდებათ მოტივაცია მეტი თანხა ჩადონ ბიზნესში და გასცენ ნაკლები დივიდენდები, ანუ ეს მეთოდი ზრდის ინვესტიციებსა და აფართოებს ბიზნესის შესაძლებლობებს.

ფინანსური შედეგების ზოგადი ანალიზი შეიძლება განხორციელდეს 3 მეთოდით: შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების მუხლების დინამიკური ანალიზი(ჰორიზონტალური ანალიზი); ამ მუხლების თანაფარდობის, სტრუქტურის ანალიზი(ვერტიკალური ანალიზი); და კოეფიციენტების ანალიზი.

ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზისას დაითვლება მოგება/ზარალის ცალკეული ელემენტის ხვედრითი წილი და კეთდება გადახრების ანალიზი წინა წელთან, წლის დასაწყისთან ან გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით. ანუ ცალკე მოხდება ხარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურის განხილვა



თავდაპირველად დავიწყეთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სტრუქტურული ანალიზით და ცალკე განვიხილოთ შემოსავლებისა და დანახარჯების სტრუქტურა 2017 წლის მონაცემებით, სადაც გადახრების ანალიზი მოხდება წინა წელთან შედარებით.

ცხრილი (1.1.2)

შპს „GWP“-ის მოგება/ზარალის ანგარიშგების დანახარჯების სტრუქტურა (დანახარჯთა ელემენტების მიხედვით)

დანახარჯთა ელემენტები	2016 წელი		2017 წელი		გადახრა %
	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ %	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ. %	
ელ.ენერჯის და გადაცემის ხარჯი	12,647	<b>15,91</b>	12,964	<b>14.3</b>	<b>-1.61</b>
შრომითი დანახარჯები	15,163	<b>19.1</b>	17,460	<b>19.2</b>	<b>+0,1</b>
ნედლეულის და მასალის ხარჯი	2,529	<b>3.2</b>	2,590	<b>2.9</b>	<b>-0,3</b>
ცვეთა და ამორტიზაცია	15,625	<b>19.7</b>	17,771	<b>19.6</b>	<b>-0,1</b>
საპროცენტო ხარჯები	11,291	<b>14.2</b>	13,793	<b>15.2</b>	<b>+1</b>
მოგების გადას.ხარჯი	1,962	<b>2.5</b>	0	<b>0</b>	<b>-2,5</b>
საერთო ადმინისტ.ხარჯი	2,914	<b>3.7</b>	3,473	<b>3.8</b>	<b>+0,1</b>
ტექნ.მომსახ.ხარჯი	2,772	<b>3.5</b>	3,116	<b>3.4</b>	<b>-0.1</b>
გადასახ.ხარჯი(მოგებ.გარდა)	2,930	<b>3.69</b>	3,339	<b>3.68</b>	<b>-0,01</b>
სხვა საოპერ.ხარჯები	7,400	<b>9.3</b>	10,892	<b>12</b>	<b>+2,7</b>
არასაოპერაციო ხარჯი	4,137	<b>5.2</b>	5339	<b>5.9</b>	<b>+0,7</b>
<b>ხარჯების ჯამი</b>	<b>79370</b>		<b>90737</b>		

როგორც ვხედავთ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები დანახარჯთა სტრუქტურაში არ შეიმჩნევა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის ხარჯი 2017 წელს არ გვაქვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოგების განაწილება მიზნობრივად მოხდა, ანუ წინა წელთან შედარებით შემცირდა 2,5%-ით.

შემცირების ტენდენცია შეინიშნება ელ.ენერჯის ხარჯშიც, ხოლო წინა წელთან შედარებით 2,7%-ით გაზრდილია სხვა საოპერაციო ხარჯების წილი. თუმცა მთლიანობაში 2017 წელს დანახარჯების სტრუქტურული შეფარდება წინა წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა.

მსგავსად ხარჯების სტრუქტურისა, შემოსავლების სტრუქტურული ცხრილიც მომზადდება და გაანალიზდება.

### ცხრილი (1.1.3)

შპს „GWP“-ის მოგება/ზარალის ანგარიშგების შემოსავლების სტრუქტურა

შემოსავლები	2016 წელი		2017წელი		გადახრა
	თანხა(ა თასი ლარი)	ხვ.წ %	თანხა(ა თასი ლარი)	ხვ.წ. %	%
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	99,631	<b>83,9</b>	107,766	<b>85,9</b>	<b>+2</b>
შემოსავალი ელ.ენერჯის რეალიზაციიდან	9,430	<b>7,9</b>	6,423	<b>5,1</b>	<b>-2,8</b>
საპროცენტო შემოსავალი	2,177	<b>1,8</b>	5,049	<b>4</b>	<b>+2,2</b>
სხვა შემოსავალი	7,507	<b>6,4</b>	6277	<b>5</b>	<b>-1,4</b>
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>118,745</b>		<b>125,515</b>		

როგორც შემოსავლების სტრუქტურული ანალიზიდან ჩანს, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, შემოსავლებში გაზრდილია წყალმომარაგებიდან შემოსავლის ხვედრითი წილი, ზრდის ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე საპროცენტო შემოსავლებიც. რაც შეეხება შემოსავალს ელ.ენერჯის რეალიზაციიდან წინა წელთან შედარებით ხვედრითი წილი 1,4%-ით შემცირდა და შემცირდა სხვა შემოსავლების ხვედრითი წილიც.

შემოსავლების და დანახარჯების სტრუქტურული ანალიზიდან შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საწარმო უფრო მეტად ორიენტირებულია წყალმომარაგებიდან მისაღებ შემოსავლებზე და შედარებით ამცირებს ელ.ენერჯის რეალიზაციას. შესაბამისად შემცირებულია ელ.ენერჯის ხარჯიც. ეს ბუნებრივიცაა ვინაიდან მის მთავარ საქმიანობას სწორედ წყალმომარაგება წარმოადგენს, ხოლო ელ.ენერჯიას გამოიმუშავებს ძირითადად მოცემული სისტემის ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე, რაც შეეხება მთლიან დანახარჯებს ისევე როგორც მთლიანი შემოსავლები 2017 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება, შემოსავლების ზრდის ტემპი კი დანახარჯებთან შედარებით მაღალია, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

როგორც ვიცით სტრუქტურული ანალიზს აქვს შეზღუდვები, კერძოდ კი ერთი მუხლის ხვედრითი წილის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა მუხლის ცვლილებაზე, მიუხედავად იმისა რომ შეიძლება უკანასკნელის აბსოლუტური მნიშვნელობა არ იყოს შეცვლილი. ამიტომ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად და უფრო რეალური სურათის მისაღებად უნდა ჩავატაროთ დინამიკური ანუ ჰორიზონტალური ანალიზი.

აქედან გამომდინარე, მოგება/ზარალის სტრუქტურული მიმოხილვის შემდეგ ჩატარდება ჰორიზონტალური ანალიზი, რომლის დროსაც კეთდება ანალიზი იმაზე დაკვირვებით თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა პერიოდში ესა თუ ის მაჩვენებელი. საბაზისოდ აიღება ერთი რომელიმე კონკრეტული წელი ანუ გამოიანგარიშება გადახრა საბაზისო წლისადმი.

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენ საანალიზო საწარმოს და სტრუქტურული ანალიზის შემდეგ ჩავატაროთ ჰორიზონტალური ანალიზი, რათა დინამიკაში დავინახოთ სხვადასხვა პერიოდში როგორ იცვლებოდა ესა თუ ის მაჩვენებელი. საბაზისო წელი იქნება 2014 წელი, რომლის მიმართაც განვიხილავ გადახრებს. მაშასადამე შპს GWP-ის დანახარჯების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:


## შპს „GWP“-ის დანახარჯების დინამიკა

მაჩვენებლები	საბაზი სო წელი 2014	2015		2016		2017	
		ათასი ლარი	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი
ელ.ენერჯის ხარჯი	8,673	9,826	<b>113,3</b>	12,647	<b>146</b>	12,964	<b>149</b>
შრომითი ხარჯები	17,714	19,117	<b>108</b>	15,163	<b>85,6</b>	17,460	<b>98,5</b>
ნედლეულის და მასალის ხარჯი	5510	4,551	<b>82,6</b>	2,529	<b>45,9</b>	2,590	<b>47</b>
ცვეთა და ამორტიზაცია	13,363	16,004	<b>119,8</b>	15,625	<b>116,9</b>	17,771	<b>133</b>
საპროცენტო ხარჯები	3,785	21,783	<b>576</b>	11,291	<b>298</b>	13,793	<b>364</b>
მოგების გადასახ.ხარჯი	5,537	6,711	<b>121</b>	1,962	<b>35,4</b>	0	<b>0</b>
საერთო ადმინ. ხარჯი	2,645	2,764	<b>104,5</b>	2,914	<b>110,2</b>	3,473	<b>131</b>
ტექნ.მომსახ.ხარ ჯი	4,302	4,090	<b>95</b>	2,772	<b>64,4</b>	3,116	<b>72</b>
გადასახ.ხარჯი(მ ოგებ.გარდა)	4,216	3,051	<b>72,7</b>	2,930	<b>69,5</b>	3,339	<b>79</b>
სხვა საოპერ.ხარჯები	13,590	6,303	<b>46,4</b>	7,400	<b>54,4</b>	10,892	<b>80</b>
არასაოპერაციო ხარჯი	2,051	2,881	<b>140,5</b>	4,137	<b>202</b>	5,339	<b>260</b>

როგორც ვხედავთ, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში შეინიშნება დანახარჯების დინამიკის ცვლილება. საბაზისო წელთან შედარებით, 2015, 2016 და 2017 წლებში კლების ტენდენცია შეინიშნება ისეთ ხარჯებში, როგორცაა: შრომითი ხარჯები, ნედლეულისა და მასალების დანახარჯები და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. თუმცა ყველაზე დიდი ტენდენციით ცვლილებები შეინიშნება საპროცენტო ხარჯებში, რაც განსაკუთრებით გაიზარდა 2015 წელს, თუმცა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, მიუხედავად საბაზისო წლის მიმართ მისი ზრდის ტენდენციისა. აგრეთვე შეინიშნება მოგების გადასახადის ხარჯის მკვეთრი შემცირება და 2017 წელს როგორც ვხედავთ მთლიანად 0-ს გაუტოლდა. რაც შეეხება დანახარჯების ზრდას ბოლო 4 წლის განმავლობაში გაიზარდა ელ.ენერჯის ხარჯი, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა მისი ხვედრითი წილი მთლიან დანახარჯებში, შეინიშნება აგრეთვე ცვეთის ხარჯის ზრდაც. განსაკუთრებით მკვეთრადაა გაზრდილი საერთო ადმინისტრაციული და არასაოპერაციო ხარჯებიც.

ის მკვეთრი ცვლილებები დანახარჯებში, რომლებსაც ვხედავთ ბოლო 4 წლის მანძილზე ასევე თვალსაჩინოდ ჩანს გრაფიკულ სურათზეც, რომელიც აგებულია ცხრილის მონაცემების საფუძველზე.

## შპს GWP-ის დანახარჯების დინამიკა გრაფიკი (1.1)




დანახარჯების დინამიკური და სტრუქტურული ანალიზის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ დანახარჯების გარკვეულმა კატეგორიამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება დინამიკაში, თუმცა სტრუქტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება.

ახლა კი ვნახოთ, შპს GWP-ის შემოსავლების დინამიკა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

## შპს „GWP“-ის შემოსავლების დინამიკა

შემოსავლები	საბაზისო წელი 2015	2016		2017	
	ათას.ლარი	ათას ლარებში	%-ად 2015	ათას.ლარებში	%-ად 2015
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	94,663	99,631	<b>105,2</b>	107,766	<b>114</b>
შემოსავალი ელ.ენერჯის რეალიზაციიდან	13,271	9,430	<b>71,1</b>	6,423	<b>48,4</b>
საპროცენტო შემოსავალი	1,662	2,177	<b>131</b>	5,049	<b>303,4</b>
სხვა შემოსავალი	5,547	7,507	<b>135</b>	6,277	<b>113,2</b>

როგორც ვხედავთ დინამიკაში შეინიშნება ელ.ენერჯის რეალიზაციიდან შემოსავლის შემცირება საბაზისო წელთან შედარებით და 2017 წელს თითქმის განახევრდა კიდევ, ხოლო დანარჩენი შემოსავალი გაიზარდა, განსაკუთრებით გაზრდილია საპროცენტო შემოსავლები თითქმის 3ჯერ. უფრო თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია გრაფიკულადაც წარმოვადგინოთ აღნიშნული სურათი.



საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული და დინამიკური ანალიზის შედეგად გვაქვს მსგავსი ტენდენციები, დინამიკაში გაზრდილია შემოსავალი წყალმომარაგებიდან და საპროცენტო შემოსავლებიც, ხოლო კლებადი ხასიათი შეიმჩნევა ელ.ენერჯის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებში. სტრუქტურულადაც 2017 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია შემოსავლებში წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი, ისევე როგორც საპროცენტო და სხვა შემოსავლების წილი, ხოლო შემცირებულია ელ.ენერჯის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი.

ანალიზის დროს აგრეთვე მნიშვნელოვანია მოგების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი, შემდეგ მათი გადახრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

მოგება/ზარალის ანგარიშების ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლება ავტონომიური და კომბინირებული მაჩვენებლები, სადაც ავტონომიური გულისხმობს იმ მაჩვენებლებს, რომლებიც გამოითვლება მხოლოდ მოცემული ანგარიშების მეშვეობით, ხოლო კომბინირებულის დროს საჭიროა სხვადასხვა ანგარიშების მონაცემები. ავტონომიური მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია განვიხილოთ ფასნამატი და მარჟა (მოცემული კოეფიციენტები განხილულია ზევით), ხოლო კომბინირებულიდან დამატებით შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კოეფიციენტები:



1. წარმოების მომგებიანობა = საოპერაციო მოგება/(მატერიალური მარაგები+ძირითადი საშუალებები) \*100

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს.

2. რეალიზაციის (ბრუნვის) რენტაბელობა=მოგება  
პროდ.რეალიზაციიდან/ამონაგები რეალიზაციიდან

იგი გვიჩვენებს მოგების რა პროცენტს იღებს ფირმა რეალიზაციის თითოეულ ლარზე.

### **მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა ანალიზი**

საწარმოს ფინანსური შედეგების განხილვისას მნიშვნელოვანია შესაბამისი მაჩვენებელთა ანალიზი, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფა- აბსოლუტურ და ფარდობით მაჩვენებლებად. მარტივად, რომ ვთქვათ მოგება წარმოადგენს მთლიანი შემოსავლებისა და დანახარჯების სხვაობას, ხოლო დანახარჯებისა და შემოსავლების შესაბამისი დამოკიდებულების მიხედვით გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები: მოგება რეალიზაციიდან, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება და გაუნაწილებელი მოგება. ისინი საწარმოს ფინანსურ შედეგს რაოდენობრივად ახასიათებენ, ამიტომ აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან და მხოლოდ მათი ანალიზით წარმოების ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ დავახასიათებთ. აქედან გამომდინარე, ანალიზის დროს გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი-მომგებიანობა ანუ რენტაბელობა, რომელიც არის ხარისხობრივი მაჩვენებელი და მომგებიანობის დონეს პროცენტულად ახასიათებს.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლებისა და დანახარჯების დეტალური ანალიზის გარდა, (რომელიც განხილულია წინა საკითხში), მნიშვნელოვანია მოვახდინოთ უშუალოდ მოგების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი.

სასურველია, რომ საოპერაციო მოგების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს მოგება რეალიზაციიდან ზრდის ტემპს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება არასაწარმოო ხარჯების გამოყენების არაეფექტიანობას. როცა დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპი

აღმატება მოგებას რეალიზაციიდან ზრდის ტემპს, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდით, ხოლო თუ წმინდა მოგების ზრდის ტემპი აღმატება გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპს, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მოგების დიდი ნაწილი გამოყენებულია მაგ: დივიდენდების გასაცემად და რეზერვების შესაქმნელად.

თავდაპირველად დავიწყით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზით, რომლებიც საწარმოს ფინანსურ შედეგს რაოდენობრივად გვიჩვენებენ, ხოლო მოგვიანებით განვიხილოთ ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზიც, რათა გავზომოთ წარმოების ეფექტიანობის რეალური ზრდა. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბოლო 4 წლის მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ აბსოლუტური ანუ მოგების მაჩვენებლების დინამიკა.

ცხრილი (1.1.6)


შპს „GWP“-ის მოგების მაჩვენებლების დინამიკა

მოგების მაჩვენებლები	საბაზისო წელი 2014	2015		2016		2017	
		ათას.ლარი	ათას ლარებში	%-ად 2014	ათას.ლარი	%-ად 2014	ათას.ლარი
მოგება რეალიზაციიდან	69,213	74,440	<b>107,6</b>	78,722	<b>113,7</b>	81,177	<b>117,3</b>
საოპერაციო მოგება	53,077	61,471	<b>115,8</b>	66,138	<b>124,6</b>	63,697	<b>120</b>
მოგება დაბეგვრამდე	35,535	24,773	<b>69,7</b>	41,337	<b>116,3</b>	34,778	<b>98</b>
წმინდა მოგება	29,998	18,062	<b>60,2</b>	39,375	<b>131,3</b>	34,778	<b>116</b>

მოგების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზიდან ჩანს, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში საბაზისო წელთან მიმართებაში და ისედაც, მოგება რეალიზაციიდან იზრდებოდა, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია რეალიზაციიდან შემოსავლის

ზრდისა და შესაბამისი დანახარჯების შემცირებით, კერძოდ როგორც ვნახეთ დანახარჯების დინამიკიდან ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ნედლეულისა და ძირითადი მასალების დანახარჯები და აგრეთვე შრომითი დანახარჯებიც. ზრდის ტემპით ხასიათდება აგრეთვე საოპერაციო მოგებაც, ხოლო მისი ზრდის ტემპი უსწრებს მოგება რეალიზაციის ზრდის ტემპს რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად საბაზისო წელთან შედარებით საოპერაციო მოგების ზრდისა, 2017 წელს წინა წელთან შედარებით ეს ზრდა უფრო ნაკლებია, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია 2016 წელთან შედარებით სხვა საოპერაციო ხარჯების ზრდით. რაც შეეხება მოგებას დაბეგვრამდე და წმინდა მოგებას, რომელიც საგრძნობლად შემცირდა 2015 წელს საბაზისო წელთან შედარებით, რის მთავარ მიზეზადაც შეიძლება დავასახელოთ, საპროცენტო ხარჯების საგრძნობლად გაზრდა. თუმცა უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა აღნიშნული მოგების ზრდის ტემპებიც, რაც გამოწვეულია, იმ ფაქტით, რომ საპროცენტო ხარჯები ბოლო წლებში განახევრდა, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ხარჯიც.

გრაფიკულად ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკა, რომლებიც საოპერაციო მოვლენებს გვიჩვენებენ რაოდენობრიობაში, ამიტომ მხოლოდ

მათი ანალიზით წარმოების ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ გავანალიზებთ. ასე, რომ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად უმჯობესია ჩატარდეს ფარდობითი, ანუ ჩვენ შემთხვევაში რენტაბელობის მაჩვენებლების გაანგარიშება, მათი დინამიკური და ფაქტორული ანალიზი.

მომგებიანობის მაჩვენებლები შეიძლება დავყოთ 3 ძირითად ჯგუფად:

- ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
- ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
- პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

საანალიზო საწარმოს მაგალითზე განვიხილოთ ზოგიერთი მომგებიანობის მაჩვენებლები.

ცხრილი(1.1.7)

შპს „GWP“-ის მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკა

მოგების მაჩვენებლები	საბაზისო წელი 2013	2014		2015	
		კოეფიციენ ტი	%-ად 2013	კოეფიციე ნტი	%-ად 2013
1.აქტივების მომგებიანობა	0,113	0,112	<b>99,1</b>	0,075	<b>66,4</b>
2.კაპიტალის უკუგება	0,202	0,179	<b>89</b>	0,215	<b>106</b>
3.აქტივების ფინანსური რენტაბელობა	0,087	0,095	<b>109,2</b>	0,055	<b>63</b>
4.წლიური მოგება/შემოსავა ლი(მოგების ნორმა)	0,320	0,321	<b>100,3</b>	0,230	<b>72</b>

მოცემული მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკიდან ჩანს, რომ კაპიტალის უკუგება გაუმჯობესებულია, გარკვეულწილად საოპერაციო მოგება ზრდის ტემპით ხასიათდებოდა. რაც შეეხება დარჩენილ 3 მაჩვენებელს ისინი შემცირდნენ 2013 წელთან შედარებით, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი უჭირავს წლიური მოგებისა და წმინდა მოგების მნიშვნელოვან შემცირებას.

ამის შემდეგ კი მნიშვნელოვანი გადახრების მქონე მაჩვენებლებისთვის შეგვიძლია ჩავატაროთ ფაქტორული ანალიზი. მაგალითად აქტივების მომგებიანობა შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$\text{წლიური მოგება/აქტივები} = (\text{წლიური}$$

$$\text{მოგება/შემოსავალი}) * (\text{შემოსავალი/საკ.კაპიტალი}) * (\text{საკ.კაპიტალი/აქტივები})$$

სადაც პირველი ფაქტორია მოგების ნორმა, მეორე ფაქტორია საკუთარი სახსრების შემოსავლიანობა და მესამე საკუთარი კაპიტალის კონცენტრაცია. გამოვთვალოთ ზემოთ მოცემულ ფორმულაში აღნიშნული მაჩვენებლები:

ცხრილი (1.1.8)

შპს „GWP“-ის მაჩვენებლების ანალიზი

მაჩვენებლები	2013წელი (საბაზისო)	2015 წელი(საან გარიშო)	გადახრა
წლიური მოგება/აქტივები	0,113	0,075	-0,038
1.წლიური მოგება/შემოსავალი	0,320	0,230	-0,09
2.შემოსავალი/საკ.კაპი ტალი	0,452	0,510	+0,06
3.საკ.კაპ./აქტივები	0,79	0,64	-0,15

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ საწარმოს აქტივების მომგებიანობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 0.038-ით. გავზომოთ მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა შემდეგი მწკრივის საფუძველზე:

წლიური მოგება/აქტივები= (წლიური

მოგება/შემოსავალი)\*(შემოსავალი/საკ.კაპიტალი)\*(საკ.კაპიტალი/აქტივები)

როგორც ვიცით, აბსოლუტური სხვაობის ხერხით, მოცემული ფაქტორის გადახრა უნდა გამრავლდეს, მწკრივში მის წინ მდგარი მაჩვენებლის ფაქტიურ და შემდგომის საბაზისო მნიშვნელობაზე. მაშასადამე:

$$1. \text{მოგების ნორმის ცვლილების გავლენა} = (-0.09) * 0,452 * 0.79 = -0.032$$

$$2. \text{საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ცვლილების გავლენა} = 0.230 * 0,06 * 0.79 = 0,012$$

$$3. \text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ცვლილების გავლენა} = 0.230 * 0,510 * (-0.15) = -0,018$$

აქედან გამომდინარე, პირველმა დამესამე ფაქტორის შემცირებამ შეამცირა აქტივების მომგებიანობა წინა წელთან შედარებით, ხოლო მეორე ფაქტორის ზრდამ გამოიწვია მისი 0,012-ით ზრდა. მთლიანობაში სამივე ფაქტორის გავლენის ჯამი საანალიზო მაჩვენებლის გადახრის ტოლია.

როცა ფაქტორების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია და გვანტერესებს მაჩვენებლებს შორის კავშირის სიძლიერე, შეგვიძლია მოვახდინოთ კორელაციური ანალიზი.

კორელაციის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულთ:

$$R = \frac{n * \sum xy - \sum x * \sum y}{\sqrt{[n * \sum x^2 - (\sum x)^2] [n * \sum y^2 - (\sum y)^2]}}^{1/2}$$

X – არის დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი; y - არის დამოკიდებელი ცვლადი ანუ შედეგი.; n – არის წევრთა რიცხვი სიმრავლეში. კორელაციის კოეფიციენტის შემდეგ გამოითვლება დეტერმინაციის კოეფიციენტი(D), რომელიც გვჩვენებს : შედეგობრივი მაჩვენებლის ცვლილების რამდენი პროცენტია გამოწვეული ფაქტორ-მაჩვენებლის ცვლადის ცვლილებით.

$$D = R^2$$

კორელაციის კოეფიციენტი მერყეობს -1 და 1-ს შორის, როცა:

$r = +1$  გვაქვს სრულყოფილი დადებითი კორელაცია;  $r = 0$  მაჩვენებლებს შორის კავშირი ანუ კორელაცია არ არსებობს;  $r = -1$  გვაქვს სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია.

ამის შემდეგ განვიხილოთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ რენტაბელობის მაჩვენებლების დინამიკა და ფაქტორული ანალიზი.

**ეკონომიკური მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ:**

1. აქტივების მომგებიანობა = მოგება დაბეგვრამდე \* 100 / აქტივების ჯამი

იგი ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს. მსგავსად ამ მაჩვენებლისა შეიძლება გამოვთვალოთ მიმდინარე აქტივების რენტაბელობა:

2. მიმდინარე აქტივების რენტაბელობა = მოგება \* 100 / მიმდინარე აქტივებთან ან წმინდა აქტივების რენტაბელობა = მოგება \* 100 / წმინდა აქტივები და სხვა

აქტივების მომგებიანობის ალტერნატიული მაჩვენებელია კაპიტალის უკუგება:

3. კაპიტალის უკუგება = საოპერაციო მოგება \* 100 / (საკუთარ კაპიტალს + გრძელვადიანი ვალდებულებები).

ის ახასიათებს საკუთარი და გრძელვადიანი ვალდებულებებით შეძენილი რესურსების ეფექტიანობას.

4. წარმოების მომგებიანობა = საოპერაციო მოგება \* 100 / (მატერიალური მარაგები + ძირითადი საშუალებები)

ეს მაჩვენებელი ახასიათებს მოცემულ საწარმოში გამოყენებული საკუთრივ წარმოების საშუალებების მომგებიანობას.

ახლა კი გავიანგარიშოთ და წარმოვადგინოთ მათი დინამიკა, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბოლო 4 წლის მონაცემების საფუძველზე, საბაზისო წელი 2014.

ცხრილი (1.1.9)

შპს „GWP“-ის ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკა

ეკონომიკ. მომგებიანობის მაჩვენებლები	საბაზისო წელი 2014	2015		2016		2017	
		კოეფიციენტი	%-ად 2014	კოეფიციენტი	%-ად 2014	კოეფიციენტი	%-ად 2014
აქტივების მომგებიანობა	0,112	0,075	<b>67</b>	0,106	<b>94,6</b>	0,064	<b>57,1</b>
კაპიტალის უკუგება	0,179	0,215	<b>120,1</b>	0,191	<b>106,7</b>	0,126	<b>70,4</b>
წარმოების მომგებიანობა	0,206	0,229	<b>111,2</b>	0,218	<b>105,8</b>	0,159	<b>69,4</b>

როგორც ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკიდან ჩანს, კაპიტალის უკუგება და წარმოების მომგებიანობა 2014 წელთან შედარებით 2015 და 2016 წელს იზრდებოდა, თუმცა 2017 წელს ეს მაჩვენებლები შემცირდა. რაც შეეხება აქტივების მომგებიანობას 2015 წელს საკმაოდ შემცირდა, 2016 წელს აღნიშნა ზრდა თუმცა 2017 წელს კვლავ შეინიშნება შემცირების ტენდენცია. ამ მაჩვენებლებზე თავის მხრივ გავლენა მოახდინა ბოლო დროს მომხდარმა ცვლილებებმა. კერძოდ აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი, რომელიც დაბეგვრამდე მოგებაზეა დამოკიდებული 2015 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა რაც გამოწვეული იყო მოგების ამ მაჩვენებლის მკვეთრი შემცირებითა და ამავდროულად აქტივების საერთო რიცხვის ზრდით. 2016 წელს სიტუაცია გამოსწორდა ვინაიდან მოგების აღნიშნული მაჩვენებელი 16%-ით გაიზარდა, თუმცა 2017 წელს ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა, აქ შეინიშნება აქტივების ზრდის ტემპის გადაჭარბება მოგების მაჩვენებლის ზრდის ტემპთან შედარებით. თუმცა ეს მაჩვენებელია უფრო ზოგადია ამიტომ უკეთესია შევხედოთ მის ალტერნატიულ მაჩვენებელს კაპიტალის უკუგებას, მისი ცვლილებები შედარებით უკეთესია, ვინაიდან საოპერაციო მოგება ბოლო წლებში იზრდებოდა, ხოლო 2015 და 2016 წლებში საკუთარი კაპიტალის ზრდასთან ერთად გრძელვადიანი მოზიდული სახსრები მცირდებოდა. ასე,



რომ კაპიტალის უკუგება ბოლო წლებში იზრდებოდა თუმცა 2017 წელს ეს მაჩვენებელიც შემცირდა, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ვალდებულებების ზრდის ტემპის გაზრდით. წარმოების მომგებიანობას რაც შეეხება აქაც დაახლოებით მსგავსი ტენდენცია გვაქვს 2015 და 2016 წლებში ზრდის ტენდენციაა რაც საოპერაციო მოგების ზრდითაა გამოწვეული, ბოლო წლებში იზრდებოდა ძირითადი საშუალებების რაოდენობაც თუმც ალნიშნული მაჩვენებლის ზრდაც წარმოების ამ საშუალებების გამოყენების ეფექტიანობაზე მეტყველებს. 2017 წელს ეს მაჩვენებელიც შემცირდა რაც გამოწვეულია ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების ზრდის ტემპის გადაჭარბებით მოგების მაჩვენებელთან შედარებით. მთლიანობაში შეიზლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ეს მაჩვენებლები უმჯობესდებოდა საბაზისო წელთან შედარებით, ხოლო 2017 წელს კლების ტენდენცია შეინიშნება თუმცა ეს კლება არ არის გამსაკუთრებით დიდი და საგანგაშო, მაგრამ ამავდროულად საყურადღებოა.

ამ მაჩვენებლებიდან აქტივების უკუგება ყველაზე მეტად შემცირდა 2014 წელთან შედარებით, ამიტომ დამატებით შეგვიძლია ჩავატაროთ ფაქტორული ანალიზი. ამისთვის აქტივების მომგებიანობა შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

მოგება დაბეგვრამდე/აქტივები= (მოგება

დაბეგვრამდე/შემოსავალი)\*(შემოსავალი/საკ.კაპიტალი)\*(საკ.კაპიტალი/აქტივები)

აქედან პირველ ფაქტორს შეგვიზღია ვუწოდოთ მოგების ნორმა, მეორეს-საკუთარი კაპიტალის ბრუნვის, ხოლო მესამე ფინანსური დამოუკიდებლობის მაჩვენებლები. ახლა კი გამოვთვალოთ მოცემული მაჩვენებლები:

## შპს „GWP“-ის მაჩვენებლების ანალიზი

მაჩვენებლები	2014წელი (საბაზისო)	2017 წელი(საან გარიშო)	გადახრა
მოგება დაბეგვრამდე/აქტივები	0,112	0,064	-0,048
1. მოგება დაბეგვრამდე/შემოსავ ალი	0,321	0,305	-0,016
2.შემოსავალი/საკ.კაპი ტალი	0,571	0,458	-0,113
3.საკ.კაპ./აქტივები	0,613	0,461	-0,152

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ საწარმოს აქტივების მომგებიანობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 0.048-ით. გავზომოთ მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა შემდეგი მწკრივის საფუძველზე:

მოგება დაბეგვრამდე/აქტივები=( მოგება

დაბეგვრამდე/შემოსავალი)\*(შემოსავალი/საკ.კაპიტალი)\*(საკ.კაპიტალი/აქტივები)

როგორც ვიცით, აბსოლუტური სხვაობის ხერხით, მოცემული ფაქტორის გადახრა უნდა გამრავლდეს, მწკრივში მის წინ მდგარი მაჩვენებლის ფაქტიურ და შემდგომის საბაზისო მნიშვნელობაზე. მაშასადამე:


1. მოგება დაბეგვრამდე/შემოსავალი ცვლილების გავლენა= (-0.016)\* 0,571\*0.613=-0,006

2.საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ცვლილების გავლენა=0,305\*(-0,113)\*0,613=-0,021

3.ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ცვლილების გავლენა= 0,458\*0,305\*( - 0,152)=-0,021

აქედან გამომდინარე სამივე ფაქტორის შემცირებამ გამოიწვია აქტივების მომგებიანობის შემცირება, აქედან მე-2 და მე-3 ფაქტორის ცვლილების გავლენა თითქმის იგივე სიდიდეა. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორთა გადახრების ჯამი საანალიზო მაჩვენებლის გადახრის ტოლია.

გრაფიკულად ამ მაჩვენებლების გავლენა შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



გრაფიკულადაც კარგად ჩანს, რომ ყველა ფაქტორის შემცირებამ გამოიწვია საანალიზო მაჩვენებლის შემცირება, ხოლო მე-2-ე და მე-3-ე ფაქტორი ერთნაირად იცვლება, მათი გავლენა უფრო მეტია ვიდრე პირველი ფაქტორის.

ახლა კი გადავიდეთ ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლებზე და განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლებიდან კი შეიძლება გამოვყოთ:**

1. აქტივების ფინანსური რენტაბელობა =  $\frac{\text{წმინდა მოგება} \cdot 100}{\text{აქტივები}}$   
 იგი გვიჩვენებს აქტივების ავანსირებული ღირებულების ყოველ 1 ლარზე საწარმო რამდენ პროცენტ წმინდა მოგებას იღებს.

2. სააქციო კაპიტალის რენტაბელობა =  $\frac{\text{წმინდა მოგება} \cdot 100}{\text{სააქციო კაპიტალი}}$

**პროდუქციის რენტაბელობის** მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ მარჟა და ფასნამატი, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილე.

ახლა კი განვიხილოთ საანალიზო საწარმოს ზოგიერთი ფინანსური და პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლები

როგორც ვნახეთ ფინანსური მაჩვენებლები გაითვლება წმინდა მოგების მიხედვით, ამ მაჩვენებლებიდან გამოვთვლი აქტივების ფინანსური რენტაბელობას, რომელიც გვიჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე მესაკუთრეებს რამდენი პროცენტი მოგება რჩებათ, ხოლო პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია გავიანგარიშოთ მარჟა და ფასნამატი. მარჟა გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ 1 ლარ შემოსავალზე და ფასნამატი კი გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ 1 ლარ დანახარჯზე.

ახლა კი გავიანგარიშოთ და წარმოვადგინოთ მათი დინამიკა ბოლო 4 წლის მონაცემების საფუძველზე, საბაზისო წელი 2014.

ცხრილი (1.1.11)

შპს „GWP“-ის ფინანსური და პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკა

ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები	საბაზისო წელი 2014	2015		2016		2017	
		კოეფიციენტი	კოეფიციენტი	%-ად 2014	კოეფიციენტი	%-ად 2014	კოეფიციენტი
აქტივების ფინანსური რენტაბელობა	0,095	0,055	<b>57,9</b>	0,101	<b>106,3</b>	0,064	<b>67,4</b>
მარჟა	0,625	0,690	<b>110,4</b>	0,722	<b>115,5</b>	0,711	<b>113,8</b>
ფასნამატი	1,665	2,222	<b>133,5</b>	2,595	<b>155,9</b>	2,459	<b>147,7</b>

აქტივების ფინანსური რენტაბელობა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა, რაც ძირითადად გამოიწვია წმინდა მოგების შემცირებამ, 2015 წელს კი ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა თუმცა 2017 წელს კვლავ კლების ტემპი შეინიშნება, რაც საყურადღებოა. რაც შეეხება მარჟას და ფასნამატს ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა მათი თანდათანობითი ზრდა, ფასნამატი კი თავისმხრივ აღემატება მარჟას, რაც ბუნებრივი მოვლენაა.

## 1.2 კაპიტალდაბანდების და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად ფინანსურ ანალიზში გამოიყენება შემოსავლიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან გაანგარიშების მეთოდოლოგიითა და ინტერპრეტაციით. ამიტომ ფინანსური ანალიზის დროს უნდა შეირჩეს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე უკეთ დაახასიათებს მოცემული საწარმოს ეფექტიანობას.

ზოგადად საწარმოს ეფექტიანობის მაჩვენებლები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

- კერძო მაჩვენებლები- მათი დახმარებით შეიძლება გაანალიზდეს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ერთი მხარე;
- განზოგადებული მაჩვენებლები- მათი დახმარებით შეისწავლება ბიზნესში კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა.

კერძო მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ: გაყიდვების რენტაბელობა ან დანახარჯთა რენტაბელობა. გაყიდვების რენტაბელობის ზოგიერთი მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

1. გაყიდვების რენტაბელობა= საერთო მოგება\*100/ამონაგები;
2. გაყიდვების რენტაბელობა=მოგება დაბეგვრამდე\*100/ამონაგები;
3. გაყიდვების რენტაბელობა=წმინდა მოგება\*100/ამონაგები.

მოცემული მაჩვენებლების დახმარებით შეიძლება შევისწავლოთ გაყიდვების ეფექტიანობა, თუმცა მათ მიღმა რჩება კაპიტალდაბანდების უმნიშვნელოვანესი

საკითხები, ამის გამო მნიშვნელოვანია შევისწავლოთ კაპიტალდაბანდების მაჩვენებლებიც.

კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის მაჩვენებლები, როგორც აღვნიშნე წარმოადგენს განზოგადებულ მაჩვენებლებს, რომლებიც გამოიყენება, როგორც საქმიანობის შეფასების უმთავრესი ინდიკატორები. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მაჩვენებლები: აქტივების რენტაბელობა, ინვესტიციების რენტაბელობა, გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

1. აქტივების რენტაბელობა = მოგება \* 100 / აქტივების საშუალო სიდიდე.

ეს მაჩვენებელი ახასიათებს კომპანიის აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან მიღებულ უკუგებას. არსებობს ურთიერთკავშირი აქტივების რენტაბელობას, აქტივების ბრუნვადობასა და გაყიდვების რენტაბელობას შორის, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

2. მოგება / აქტივების საშუალო სიდიდე = ამონაგები / აქტივების საშუალო \* მოგება / ამონაგები. ანუ:

აქტივების რენტაბელობა = აქტივების ბრუნვადობა \* გაყიდვების რენტაბელობა

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ გაყიდვების რენტაბელობის მაღალი დონე ჯერ კიდევ არ ნიშნავს კომპანიაში მთლიანად გამოყენებული კაპიტალის მაღალ უკუგებას, მეორე მხრივ კი ამონაგებში წმინდა მოგების უმნიშვნელო წილი არ მიგვანიშნებს საწარმოს აქტივებში დაბანდების დაბალ რენტაბელობაზე.

ინვესტიციების რენტაბელობა (ROI) ახასიათებს ინვესტიციების ეფექტიანობას და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ROI = მოგება დაბეგვრის შემდეგ \* 100 / აქტივები

არსებობს მისი გაანგარიშების რამდენიმე ხერხი რაც დაკავშირებულია ინვესტირებული კაპიტალის სიდიდის დადგენასთან:

- როგორც გრძელვადიანი აქტივებისა და საბრუნავი აქტივების ჯამი, დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების მუხლის გამორიცხვით;
- როგორც გრძელვადიანი აქტივებისა და საბრუნავი საშუალებების ჯამი, დამფუძნებლებთან ანგარიშსწორების მუხლის გარეშე და ასევე კრედიტორული დავალიანების გამორიცხვით.

მეორე შემთხვევაში ის შემდეგნაირად გამოითვლება:

$ROI = \text{მოგება დაბეგვრის შემდეგ} / (\text{აქტივებს} - \text{კრედიტორული დავალიანებები})$ .

გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა (ROCE) მისი ყველაზე გავრცელებული ფორმულა შემდეგი სახისაა:

$ROCE = \text{მოგება დაბეგვრის შემდეგ} * 100 / (\text{აქტივებს} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები})$ .

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE), რომელსაც აქციონერების მიერ დაბანდებულ კაპიტალზე მოგების მაჩვენებელს უწოდებენ, შემდეგნაირად გამოითვლება:

$ROE = \text{წმინდა მოგება} * 100 / \text{საკუთარი კაპიტალი}$ .

მოცემული მაჩვენებლების ანალიზი მნიშვნელოვანია საწარმოს კაპიტალდაბანდების და წარმოების ეფექტიანობის შეფასებისას.

### 1.3 მისაღები გადაწყვეტილებების ანალიზი „ მოცულობა-ხარჯები-მოგების ანალიზი“ ურთიერთკავშირის ანალიზი

მოცემული ანალიზის განხილვისთვის, თავდაპირველად მიმოვიხილოთ დანახარჯების კლასიფიკაცია, წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით.

შესაბამისად არსებობს ცვლადი, მუდმივი, ნახევარცვლადი და საფეხურებრივად ცვლადი ხარჯები:

- ცვლადი ხარჯებია ისეთი ხარჯები რომლებიც იცვლებიან წარმოების მოცულობის ცვლილებასთან ერთად, ესენია: შრომის ხარჯი, საწარმოო ელექტორენერჯის ხარჯი, მასალის ხარჯი;
- მუდმივია ისეთი ხარჯები რომლებიც არ იცვლებიან წარმოების ცვლილების მიუხედავად, ესაა ქირა, იჯარა, ადმინისტრაციის ხელფასი და ა.შ
- ნახევრად ცვლადი-ისეთი ხარჯებია, რომლებიც მოიცავენ როგორც ცვლად ასევე მუდმივ დანახარჯებსაც.
- საფეხურებრივად ცვლადი-ისეთი ხარჯებია, რომლებიც მუდმივი არიან წარმოების ერთ დიაპაზონში, შემდეგ კი ნახტმოსებურად იცვლება წარმოების ახალ დიაპაზონში და შემდეგ ისევ მუდმივი ხდება.

ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანია ცვლადი და მუდმივი ხარჯების გამიჯვნა ამ მხრივ რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, ერთ-ერთი არის მინი-მაქსის მეთოდი.<sup>2</sup>

დანახარჯები, მოცულობა მოგების დამოკიდებულების ანალიზის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ზღვრული მოგება (MR), ის გამოითვლება შემდეგნაირად:

ზღვრული მოგება = შემოსავლებს - ცვლადი ხარჯები (VC)

ამ მაჩვენებლის დახმარებით შეიძლება დავადგინოთ ფირმის მოგების ნულოვანი დონე (წონასწორობის წერტილი), რომლის დროსაც რეალიზაციიდან ამონაგები მთლიანი დანახარჯის ტოლია და არ წარმოიქმნება არც მოგება და არც ზარალი. ამ დროს ფირმის ზღვრული მოგება და მუდმივი ხარჯები ერთმანეთის ტოლია, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ზღვრული მოგება ფარავდეს მუდმივ ხარჯებს (FC), ხოლო როცა აღემატება მივიღებთ მოგებას. ზემოთ მოცემული აღნიშვნების გამოყენებით სამართლიანია შემდეგი:

- $MR < FC$  = ზარალი;
- $MR = FC$  გვაქვს ნულოვანი მოგება;
- $MR > FC$  ვიღებთ მოგებას.

<sup>2</sup> მინი-მაქსის მეთოდი განსაზღვრავს მუდმივ და ცვლად ხარჯებს დანახარჯების საქმიანობის ყველაზე მაღალ და დაბალ დონეების დანახარჯების შედარებით და მათ შორის არსებული განსხვავების ანალიზით.



შესაბამისად შეგვიძლია გამოვთვალოთ წაუგებლობის მოცულობა შემდეგი ფორმულით:

მოგების ნულოვანი დონე= მუდმივი ხარჯები/ზღვრული მოგება პროდუქციის 1 ცალზე  
მისი მნიშვნელი შეიძლება გამოვთვალოთ როგორც ერთ-ლი პროდუქციის გასაყიდ ფასს  
გამოვაკლოთ ერთ-ლი პროდუქციის ცვალებადი ხარჯი.

როცა საწარმო აწარმოებს ორზე მეტი დასახელების პროდუქტს მაშინ ბუნებრივია ვერ  
დადგინდება ერთეულზე ზღვრული მოგების მაჩვენებელი მის მაგივრად გამოიყენება  
ზღვრული მოგების საშუალო კოეფიციენტი საერთო ამონაგების მიმართ (C/S). მისი  
მეშვეობით კი გამოითვლება რეალიზაციის მოცულობაში წონასწორობის წერტილი:

$$\text{წ.წ.რ} = \text{მუდმივი ხარჯები} / (C/S)$$

მაშასადამე, როცა რეალიზაციიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი ყველა  
პროდუქტის მიხედვით, გადააჭარბებს წონასწორობის წერტილს, დაიწყება მოგების  
მიღება.

სასურველი მოგების მისაღები მოცულობის დასადგენად კი გაიანგარიშება შემდეგი  
მაჩვენებლები:

მუდმივი ხარჯები+ სასურველი მოგება/ზღვრული მოგება პროდუქციის 1 ცალზე  
ან მუდმივ ხარჯებს +სასურველი მოგება შევაფარდოთ C/S კოეფიციენტზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა საწარმოსათვის მნიშვნელოვანია შეაფასოს რამდენად  
ახლოს არის წარმოების რეალური მოცულობა უზარალობის მოცულობასთან და  
ამისთვის განიხილება უსაფრთხოების დიაპაზონი,ის პროცენტულად შემდეგი სახით  
გამოითვლება:

$$\text{(გაყიდვების ფაქტობრივ მოცულობას-გაყიდვების წონასწორული მოცულობა)/}$$
$$\text{ფაქტობრივ მოცულობასთან *100\%}$$

მოცემული ანალიზის ჩატარების შემდეგ ხელმძღვანელობას შეუძლია დაგეგმოს საჭირო პროდუქციის მოცულობა შესაბამისი მოგების მისაღებად.

## თავი2: ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

### 2.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

წინა თავში განვიხილეთ მოცემული საწარმოს ფინანსური შედეგების ანალიზი, გარდა საწარმოს მომგებიანობისა მნიშვნელოვანია მისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი, გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა. საწარმოს მომგებიანობას, გადახდისუნარიანობას, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხს და მთლიანად ფუნქციონირების ეფექტიანობას ახასიათებს ფინანსური მდგომარეობა. მაშასადამე, თუ საწარმო არის გადახდისუნარიანი და მომგებიანი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მას აქვს მყარი ფინანსური მდგომარეობა.

ფინანსური მდგომარეობა თავის მხრივ შეიძლება იყოს როგორც მდგრადი ასევე არამდგრადი, ხოლო ნებისმიერი საწარმოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ფინანსური მდგრადობის მიღწევა და შენარჩუნება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ხორციელდება ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების საფუძველზე, უკანასკნელის ანალიზის მეთოდიკა განხილულია წინა თავში, ამიტომ აქ შეგვიძლია მოკლედ განვიხილოთ ბალანსის ანალიზი.

#### **ბალანსის ზოგადი მიმოხილვა**

ბალანსი ეს არის ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც დროის განსაზღვრული მომენტისათვის, განზოგადებულად, ფულადი საზომით ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს. მისი მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის-ფულადი შეფასების საფუძველზე ხდება. ამის გათვალისწინებით ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნული ვალუტით აისახება. ბალანსში საწარმოს აქტივები და მათი ფორმირების წყაროები ორმხრივობის პრინციპის საფუძველზე აისახება. ამიტომ ბუღალტრულ ბალანს ორი მხარე აქვს, ერთ მხარეს აქტივები აისახება, მეორე მხარეს ვალდებულებები და

საკუთარი კაპიტალი. აქტივები გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად ჯგუფდება, სადაც გრძელვადიანს მიეკუთვნება როგორც მატერიალური( მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სხვა) ასევე არამატერიალური (ლიცენზიები, გუდვილი, პატენტები და სხვა). ხოლო მოკლევადიანი აქტივები წარმოდგენილია მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ფულადი აქტივების, მარაგების სახით. ვალდებულებებიც ანალოგიურად იყოფა გრძელვადიან( გრძ. სესხები და სხვა კრედიტები) და მოკლევადიან( მოკლევადიანი სესხი, კრედიტორული დავალიანება და სხვა), ხოლო საკუთარი კაპიტალის ასახვა ბალანსში დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, ის შეიძლება შემდეგი მუხლების სახით იყოს წარმოდგენილი: საწესდებო კაპიტალი ან სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, სარეზერვო კაპიტალი.

რომელი ტიპის სამართლებრივი საწარმოს ბალანსიც არ უნდა იყოს, ყოველთვის იგი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელიც საბალანსო ტოლობითაა ცნობილი:

აქტივი= საკუთარ კაპიტალს + ვალდებულებები.

ბუღალტრული ბალანსი შპს GWP მაგალითზე შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი (2.1.1)

შპს GWP-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

მაჩვენებლები	2015 წ 31 დეკემბერი	2014წ 31 დეკემბერი
აქტივები		
არამიმდინარე აქტივები		
1. ძირითადი საშუალებები	265,947	255,697
2. საინვესტიციო ქონება	18,394	18394
3. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	284	571
4. გაცემული სესხები	10,889	8,500
5. შეზღუდული ფულადი სახსრები	2,545	2,460
სხვა არამიმდინარე აქტივები	2,387	1,588
<b>სულ არამიმდინარე აქტივები</b>	<b>300,446</b>	<b>287,210</b>
მიმდინარე აქტივები		
1. საწარმო-მატერიალური მარაგები	2,379	2,386
2. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	13,425	8,645
3. გაცემული სესხები	29	-
4. მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები	765	3,012
5. წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გად. გარდა	4,626	1,704
6. წინასწარ გადახდები	2,746	3,802
ფულადი სახსრები ბანკში	6,807	9,486
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>30,777</b>	<b>29,035</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>331,223</b>	<b>316,245</b>
კაპიტალი		
1. საწესდებო კაპიტალი	208,469	208,469
2. დაგროვილი დეფიციტი	(142,458)	(160,522)
3. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	145,676	145,925
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>211,687</b>	<b>193,872</b>

ვალდებულებები		
არამიმდინარე ვალდებულებები		
1. სესხები	47,317	78,573
2. გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	27,573	23,654
<b>სულ არამიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>74,890</b>	<b>102,227</b>
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები	24,943	356
მიღებული ავანსები	6,364	6,883
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანებები	11,487	9,763
ვალდებულებები და გადასახადების რეზერვები	1,318	1,406
მიმდ. მოგების გადასახადი	534	1,738
სხვა გადასახადები		
<b>სულ მიმდინარე ვალდებულ.</b>	<b>44,646</b>	<b>20,146</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>119,536</b>	<b>122,373</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>331,223</b>	<b>316,245</b>

ბალანსის ანალიზისას შეგვიძლია გამოვიყენოთ სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი, აგრეთვე გამოვთვალოთ მნიშვნელოვანი მაჩვენებლები და მათი დახმარებით შევაფასოთ საწარმოს არსებული ფინანსური მდგომარეობა და გამოვავლინოთ გაუმჯობესების გზები, რაც ანალიზის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ საწარმოს გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა, ფულადი ნაკადების მოძრაობა, საბრუნავი საშუალებების მდგომარეობა და ფინანსური რისკების შეფასება, მათი ანალიზი კი ხორციელდება შესაბამისის მაჩვენებლების დახმარებით. აღნიშნული საკითხი დაწვრილებით განხილულია ქვემოთ.

თავდაპირველად განვიხილოთ შპს GWP-ის 2017 წლის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურული ანალიზის ცვლილება წინა წელთან შედარებით და ვნახოთ რა ცვლილებები შეინიშნება მის ელემენტებში.

(ცხრილი 2.1.2)

შპს „GWP“-ის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა

ბალანსის ელემენტები	2016 წელი		2017 წელი		გადახრა %
	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ %	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ. %	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,572	4,9	3,033	4	-0,9
სავაჭრო და სხვ დებიტორული დავალიან.	19,709	37,7	23,062	30	-7,7
მისაღები პროცენტები	581	1,1	1,221	1,6	+0,5
ნაღდი ფული ბანკში	25,472	48,8	37,049	48,3	-0,5
შეზღუდ.წვდომის დეპოზიტები	-	-	7,653	10	+10
გადახდილი ავანსები	1,713	3,3	1,289	1,7	-1,6
სხვა მიმდინარე აქტივები	2,186	4,2	6878	4,4	+0,2
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>52,233</b>	100	<b>76,746</b>	100	
ძირითადი საშუალებები	300,596	88,9	397,332	85,6	-3,3
საინვესტიციო ქონება	17,806	5,3	10,138	2,2	-3,1
გაცემული სესხები	12,690	3,8	49,531	10,7	+6,9
სხვა გრძელვადიანი აქტივებ	7,148	2	7,085	1,5	-0,5
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>338,240</b>	100	<b>464,086</b>	100	
<b>სულ აქტივები</b>	<b>390,473</b>	-	<b>540,832</b>	-	
საწესდებო კაპიტალი	138,559	52,8	110,559	44,3	-8,5
დამატ. შეტანილი კაპიტალი	-	-	2,783	1,1	+1,1
გადაფასების რეზერვი	171,224	47,2	171,224	54,6	+7,4
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>262,273</b>	100	<b>249,523</b>	100	
გრძელვად. სესხი	83,941	100	242,414	94,2	-5,8

გადავადებული შემოსავალი	-	-	14,818	5,8	+5,8
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>83,941</b>	100	<b>257,232</b>	100	
მოკლევადიანი სესხი	19,101	43,2	946	2,8	-40,4
მიღებული ავანსები	3,665	8,3	8,310	24,4	+16,1
კრედიტორული დავალიანება	18,289	41,3	18,292	53,7	+12,4
გადავადებული შემოსავალი	-	-	3,137	9,2	+9,2
სხვა მოკლ. ვალდებულებები	3,204	7,2	3,392	9,9	+2,7
<b>სულ მიმდ.ვალდებულებები</b>	<b>44,259</b>	100	<b>34,077</b>	100	-
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>128,200</b>	-	<b>291,309</b>	-	-
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>390,473</b>	-	<b>540,832</b>	-	-

მეტი თვალსაჩინოებისათვის ბალანსის სტრუქტურა ცალკეული მუხლების მიხედვით, პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

ცხრილი (2.1.3)

შპს „GWP“-ის აქტივების სტრუქტურა

აქტივები	2016 წელი(ხვ.წ %)	2017 წელი(ხვ.წ %)	გადახრა %
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,9	4	-0,9
სავაჭრო და სხვ დებიტორული დავალიან.	37,7	30	-7,7
მისაღები პროცენტები	1,1	1,6	+0,5
ნაღდი ფული ბანკში	48,8	48,3	-0,5
შეზღუდ.წვდომის დეპოზიტები	-	10	+10
გადახდილი ავანსები	3,3	1,7	-1,6
სხვა მიმდინარე აქტივები	4,2	4,4	+0,2
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	100	100	



ძირითადი საშუალებები	88,9	85,6	-3,3
საინვესტიციო ქონება	5,3	2,2	-3,1
გაცემული სესხები	3,8	10,7	+6,9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2	1,5	-0,5
სულ გრძელვადიანი აქტივები	100	100	
სულ აქტივები	-		

როგორც ვხედავთ, მიმდინარე აქტივებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს დებიტორულ დავალიანებას და ნაღდი ფულის რაოდენობას. როგორც სტრუქტურული ანალიზიდან ვხედავთ, მიმდინარე აქტივების სტრუქტურაში არის გარკვეული ცვლილებები, კერძოდ შემცირდა მარაგების და დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილი, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, რაც შეეხება ნაღდ ფულს მიუხედავად მისი წინა წელთან შედარებით ზრდისა სტრუქტურულად 0,5 %-ით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები გაზრდილია 10%-ით. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ხვედრითი წილი შემცირდა. ახლა კი ვნახოთ ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სტრუქტურაც.

## შპს „GWP“-ის ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა

მაჩვენებლები	2016 წელი(ხვ.წ %)	2017 წელი(ხვ.წ %)	გადახრა %
საწესდებო კაპიტალი	<b>52,8</b>	<b>44,3</b>	<b>-8,5</b>
დამატ. შეტანილი კაპიტალი	-	1,1	+1,1
გადაფასების რეზერვი	<b>47,2</b>	<b>54,6</b>	<b>+7,4</b>
<b>სულ კაპიტალი</b>	100	100	
გრძელვად. სესხი	<b>100</b>	<b>94,2</b>	<b>-5,8</b>
გადავადებული შემოსავალი	-	5,8	+5,8
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	100	100	
მოკლევადიანი სესხი	<b>43,2</b>	<b>2,8</b>	<b>-40,4</b>
მიღებილი ავანსები	<b>8,3</b>	<b>24,4</b>	<b>+16,1</b>
კრედიტ.დავალიანება	<b>41,3</b>	<b>53,7</b>	<b>+12,4</b>
გადავადებული შემოსავალი	-	9,2	+9,2
სხვა მოკლ. ვალდებულებები	<b>7,2</b>	<b>9,9</b>	<b>+2,7</b>
<b>სულ მიმდ.ვალდებულებები</b>	100	100	-

რაც შეეხება ვალდებულებებს: გრძელვადიანი სესხის ხვედრითი წილი შემცირდა, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებებიდან მოკლევადიანი სესხის ხვედრითი წილი 40%-ით შემცირდა, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა გაზრდილია კრედიტორული დავალიანებისა და მიღებული ავანსების ხვედრითი წილი. რაც შეეხება კაპიტალის სტრუქტურას, საწესდებო კაპიტალის ხვედრითი წილი შემცირებულია, ხოლო გადაფასების რეზერვების წილი გაზრდილი. მთლიანობაში სტრუქტურული ცვლილებები უფრო დადებითი კუთხითაა შეცვლილი ვიდრე უარყოფითით.

გარდა ამისა ბალანსის სტრუქტურა მთლიანი მუხლების მიხედვით შემდეგნაირადაც შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

(ცხრილი 2.1.5)

შპს „GWP“-ის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა

ბალანსის მუხლები	2016 წელი		2017 წელი		გადახრა
	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ %	თანხა ათ.ლარი	ხვ.წ. %	
მიმდინარე აქტივები	52,233	13,4	76,746	14,2	+0,8
გრძელვადიანი აქტივები	338,240	86,6	464,086	85,8	-0,8
<b>სულ აქტივები</b>	<b>390,473</b>	<b>100</b>	<b>540,832</b>	<b>100</b>	
ვალდებულებები	128,200	32,8	291,309	53,9	+21,1
საკუთარი კაპიტალი	262,273	67,2	249,523	46,1	-21,1
<b>სულ დაფინანსების წყაროები</b>	<b>390,473</b>	<b>100</b>	<b>540,832</b>	<b>100</b>	

როგორც ვხედავთ აქტივებში 80%-ზე მეტი წილი უჭირავს გრძელვადიან აქტივებს, სტრუქტურულად 2017 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა დაფინანსების წყაროებში 21,1 %-ით გაიზარდა ვალდებულების ხვედრითი წილი და შესაბამისად კაპიტალის ხვედრითი წილი შემცირებულია, რაც უარყოფით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ახლა კი განვიხილოთ დინამიკაში როგორ იცვლებოდა ბალანსის მუხლები ბოლო 4 წლის განმავლობაში, საბაზისო წელია 2014.

## შპს „GWP“-ის ბუღალტრული ბალანსის დინამიკა

ბალანსის მუხლები	საბაზისო წელი 2014	2015		2016		2017	
		ათასი ლარი	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი
სასაქონლო-მატერ. მარაგები	2,386	2,379	99,7	2,572	107,8	3,033	127,1
სავაჭრო და სხვ დებიტ დავალ.	8,645	13,425	155,3	19,709	228	23,062	266,8
მისალ. პროცენტ	-	29	100	581	2003	1,221	4210
წალდი ფული ბანკში	9,486	6,807	71,8	25,472	268,5	37,049	391
სხვ მიმდ. აქტივ	8,518	8,137	95,5	3,899	45,8	15,820	185,7
<b>სულ მიმდ.აქტივები</b>	<b>29,035</b>	<b>30,777</b>	<b>106</b>	<b>52,233</b>	<b>180</b>	<b>76,746</b>	<b>264,3</b>
ძირითადი საშუალებები	255,697	265,947	104	300,596	117,6	397,332	155,4
საინვესტ.ქონებ	18,394	18,394	-	17,806	96,8	10,138	55,1
გაცემულ.სესხი	8,500	10,889	128,1	12,690	149,3	49,531	583
სხვ გრძელ.აქტივებ	4,619	5,216	112,9	7,148	154,8	7,085	153,4
<b>სულ გრძელ.აქტივებ</b>	<b>287,210</b>	<b>300,446</b>	<b>104,6</b>	<b>338,240</b>	<b>117,8</b>	<b>464,086</b>	<b>161,6</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>316,245</b>	<b>331,223</b>	<b>104,7</b>	<b>390,473</b>	<b>123,5</b>	<b>540,832</b>	<b>171</b>
მოკლ.სესხი	356	24,943	7006	19,101	5365	946	265,7
მიღებული ავანსები	6,883	6,364	92,5	3,665	53,2	8,310	120,7
კრედიტ.დავალ იანება	9,763	11,487	117,7	18,289	187,3	18,292	187,4
სხვა მოკლ. ვალდებულებ.	3,144	1,852	58,9	3,204	101,9	6,529	207,7
<b>სულ მიმდ.ვალდებ.</b>	<b>20,146</b>	<b>44,646</b>	<b>221,6</b>	<b>44,259</b>	<b>219,7</b>	<b>34,077</b>	<b>169,2</b>
<b>გრძელ. სესხი</b>	<b>78,573</b>	<b>47,317</b>	<b>60,2</b>	<b>83,941</b>	<b>106,8</b>	<b>242,414</b>	<b>308,5</b>

გადავადებული შემოსავალი	23,654	27,573	116,6	-	-	14,818	62,6
სულ გრძელ ვალდებულებ.	102,227	74,890	73,3	83,941	82,1	257,232	251,6
სულ ვალდებულებ.	122,373	119,536	97,7	128,200	104,8	291,309	238
კაპიტალი	193,872	211687	109,2	262,273	135,3	249,523	128,7

როგორც დინამიკური ანალიზიდან ჩანს ბოლო 4 წლის განმავლობაში ბალანსის ყველა მუხლი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2014 წელთან შედარებით. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩამორჩებოდა მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპს, ხოლო მეოთხე წელს სიტუაცია შეიცვალა და მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპმა საკმაოდ გადააჭარბა მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპს, რაც სასურველი მოვლენაა და კარგი იქნება ასე თუ გაგრძელდება. რაც შეეხება გრძელვადიან ვალდებულებებს ბოლო წლებში შეიმჩნევა მისი კლების ტემპი მაშინ როდესაც გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპით ხასიათდება, თუმცა ბოლო წელს გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპმა გადააჭარბა გრძელ. აქტივების ზრდის ტემპს.

ბალანსის დინამიკის უკეთ წარმოჩენის მიზნით შეგვიძლია ვნახოთ მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები 2014 დან 2017 წლის ჩათვლით.

## შპს „GWP“-ის აქტივების დინამიკა

მაჩვენებლები	2014 წელი (საბაზისო)	2015წ (%-ად 2014 წ-თან	2016წ (%-ად 2014 წ- თან	2017წ (%-ად 2014 წ- თან
სასაქონლო-მატერ. მარაგები	100	99,7	107,8	127,1
სავაჭრო და სხვ დებიტ დავალ.	100	155,3	228	266,8
მისალ. პროცენტ	100	100	2003	4210
ნაღდი ფული ბანკში	100	71,8	268,5	391
სხვ მიმდ. აქტივ	100	95,5	45,8	185,7
<b>სულ მიმდ.აქტივები</b>	100	<b>106</b>	<b>180</b>	<b>264,3</b>
ძირითადი საშუალებები	100	104	117,6	155,4
საინვესტ.ქონებ	100	-	96,8	55,1
გაცემულ.სესხი	100	128,1	149,3	583
სხვ გრძელ.აქტივებ	100	112,9	154,8	153,4
<b>სულ გრძელ.აქტივებ</b>	100	<b>104,6</b>	<b>117,8</b>	<b>161,6</b>
<b>სულ აქტივები</b>	100	<b>104,7</b>	<b>123,5</b>	<b>171</b>

აქტივების დინამიკიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივების მუხლებიდან განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა მისაღები პროცენტები და ფულის მაჩვენებელი, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა გაზრდილია დებიტორული დავალიანებისა და მარაგების ზრდის ტემპები, რაც ამავდროულად საყურადღებოა. რაც შეეხება ძირითად საშუალებებს შეიმჩნევა მისი ზრდა მაშინ როცა, საინვესტიციო ქონება კლების ტემპით ხასიათდება. ახლა კი ვნახოთ ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის დინამიკა 2014 წელთან მიმართებაში.

ცხრილი (2.1.8)

შპს „GWP“-ის ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის დინამიკა

მაჩვენებლები	2014 წელი (საბაზისო)	2015წ (%-ად 2014 წ-თან)	2016წ (%-ად 2014 წ- თან)	2017წ (%-ად 2014 წ- თან)
მოკლ.სესხი	100	<b>7006</b>	<b>5365</b>	<b>265,7</b>
მიღებილი ავანსები	100	<b>92,5</b>	<b>53,2</b>	<b>120,7</b>
კრედიტ.დავალიანება	100	<b>117,7</b>	<b>187,3</b>	<b>187,4</b>
სხვა მოკლ. ვალდებულებ.	100	<b>58,9</b>	<b>101,9</b>	<b>207,7</b>
<b>სულ მიმდ.ვალდებ.</b>	100	<b>221,6</b>	<b>219,7</b>	<b>169,2</b>
გრძელ. სესხი	100	<b>60,2</b>	<b>106,8</b>	<b>308,5</b>
გადავადებული შემოსავალი	100	<b>116,6</b>	-	<b>62,6</b>
<b>სულ გრძელ ვალდებულებ.</b>	100	<b>73,3</b>	<b>82,1</b>	<b>251,6</b>
<b>სულ ვალდებულებ.</b>	100	<b>97,7</b>	<b>104,8</b>	<b>238</b>
<b>კაპიტალი</b>	100	<b>109,2</b>	<b>135,3</b>	<b>128,7</b>

რაც შეეხება ვალდებულებების დინამიკას მისი მუხლები ზრდის ტემპით ხასიათდებოდა ბოლო 4 წლის განმავლობაში, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოკლევადიანი სესხის ზრდის ტემპი ბოლო წელს განსაკუთრებით შემცირდა, მაგრამ საპირისპიროდ გრძელვადიანი სესხი გაიზარდა. მთლიანობაში ბოლო 3 წლის განმავლობაში აქტივების ზრდის ტემპი უსწრებდა ვალდებულებების ზრდის ტემპს, სიტუაცია შეიცვალა 2017 წელს, რაც გამოწვეულია ვალდებულებებში, გრძელვადიანი ვალდებულებების თითქმის გასამმაგებით. და ბოლოს რაც შეეხება კაპიტალის ზრდის ტემპს ბოლო 3 წლის მანძილზე მისი ზრდის ტემპი საკმაოდ უსწრებდა ვალდებულებების ზრდის ტემპს, თუმცა სიტუაცია იცვლება ბოლო 2017 წელს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის მაჩვენებელი იზრდება ბოლო წელს

ვალდებულებების ზრდის ტემპმა გადაასწრო, რაც საყურადღებოა. სასურველია მოხდეს ვალდებულებების გადახედვა და მისი კვლავ დასტაბილურება.

როგორც ვნახეთ ბალანსის ანალიზით, გამოვლინდა აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის მუხლების ცვლილებების ტენდენციები. ეხლა კი მნიშვნელოვანია შევაფასოთ გადახდისუნარიანობა, რათა ვნახოთ რამდენადაა საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელი, ხოლო ლიკვიდურობის შეფასებით ვნახავთ რამდენად სწრაფად შეუძლია დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. მათი ანალიზის შემდეგ კი შევძლებთ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანას.

## 2.2 საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ გადახდისუნარიანობა. საწარმო გადახდისუნარიანი უნდა იყოს როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერიოდში.

გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა ვლინდება მის უნარში დაფაროს ვალდებულებები, გრძელვადიან პერიოდში, ხოლო საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა ფასდება ლიკვიდურობით. ლიკვიდურობა გულისხმობს საჭირო ფულადი თანხების არსებობას გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ლიკვიდურია მიმდინარე აქტივები, რომელსაც საბრუნავი საშუალებებიც შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან მასში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება.

სანამ ლიკვიდურობის კოეფიციენტებს განვიხილავთ, ჩვენი საანალიზო საწარმოს მონაცემების მიხედვით, ვნახოთ როგორი დინამიკით ხასიათდებოდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთარი საბრუნავი სახსრები, ანუ წმინდა მიმდინარე



აქტივები.<sup>3</sup> როგორც ვიცით უმჯობესია ის ფარავდეს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს.

ცხრილი (2.2.1)

შპს „GWP“-ის წმინდა მიმდინარე აქტივების დინამიკა

მაჩვენებლები	საბაზის ო წელი 2014	2015		2016		2017	
		ათასი ლარი	%-ად 2014	კოეფიც იენტი	%-ად 2014	კოეფიც იენტი	%-ად 2014
1.მიმდინარე აქტივები	29,035	30,777	<b>106</b>	52,233	<b>180</b>	76,746	<b>264,3</b>
2.მიმდინარე ვალდებულებები	20,146	44,646	<b>221,6</b>	44,259	<b>219,7</b>	34,077	<b>169,2</b>
3.საკუთარი საბრ.სახსრები(1-2)	8,889	-13,869	-	7,974	<b>89,7</b>	42,669	<b>480</b>
4.სასაქონლო-მატერ. მარაგები	2,386	2,379	<b>99,7</b>	2,572	<b>107,8</b>	3,033	<b>127,1</b>
5.სსს-ს წილი მატერ.მარაგებში(3/4)	373	-	-	310	-	1407	-

როგორც ვხედავთ საკუთარ საბრუნავი სახსრები 2015 წელს არ გვაქვს, რაც გამოწვეულია ვალდებულებების დიდი რაოდენობით, განსაკუთრებით მაღალი იყო მოკლევადიანი სესხი. თუმცა მოგვიანებით სიტუაცია გამოსწორდა და ბოლო წელს თითქმის 5ჯერ გაიზარდა 2014 წელთან შედარებით. მარაგებიც ზრდის ტემპით ხასიათდებოდა თუმცა სსს ბევრად აღემატება მათ, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მატერიალური მარაგები 2015 წლის გარდა მთლიანად საკუთარი საბრუნავი სახსრებით იყო დაფინანსებული.

<sup>3</sup> წმინდა მიმდინარე აქტივები= მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2015 წლის გარდა მიმდინარე აქტივები საგრძნობლად აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. გარდა ამისა ზრდის ტემპით ხასიათდებოდა ნაღდი ფულის რაოდენობაც.

ვინაიდან მიმდინარე აქტივები განსხვავდება ლიკვიდურობის მიხედვით, საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ანალიზი შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა მაჩვენებლებით. მათ შორის ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია, ამიტომ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეგვიძლია შემდეგნაირად დავთვალოთ:

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი აქტივები) / (მიმდინარე ვალდებულებებთან)

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს მოცემულ მომენტში არსებული თანხებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. ეს მაჩვენებელი 0,2ზე ანუ 20%ზე დაბალი არ უნდა იყოს.

გვაქვს აგრეთვე 2. **სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი** = (ფულად თანხებს + მოკლევადიანი მოთხოვნები) / (მიმდინარე ვალდებულებები). ეს კოეფიციენტი 1 და 2 შორის უნდა მერყეობდეს და

3. **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი** = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები.

ის გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს, სასურველია ეს კოეფიციენტი 2-3 მდე მერყეობდეს, რადგან 3ზე მეტის დროს უკუშედეგები შეიძლება მივიღოთ.


ახლა კი გამოვთვალოთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები და ვნახოთ როგორი დინამიკით ხასიათდებოდა მოცემული საწარმოს გადახდისუნარიანობა 2014-2017 წლებში.

## შპს „GWP“-ის ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტები	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
აბსოლუტ.ლიკვიდურობა	0,47	0,15	0,58	1,1
სწრაფი ლიკვიდურობა	0,90	0,5	1,02	1,8
საერთო ლიკვიდურობა	1,44	0,7	1,18	2,25

ლიკვიდურობის მაჩვენებლების ანალიზიდან შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელს მაჩვენებლები ზღვარს ქვემოთ იყო რაც დამაბულობის მიმანიშნებელია, თუმცა ბოლო 2 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებლები საკმაოდ გაუმჯობესდა, რაც იმას ნიშნავს რომ საწარმოს გადახდისუნარიანობა ბოლო წლებში სტაბილურად უმჯობესდება.

ლიკვიდურობის მაჩვენებლების დინამიკა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ახლა კი ვნახოთ როგორი მერყეობით ხასიათდებოდა საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი, ამისთვის ეს კოეფიციენტი აღნიშნოთ X-ით და გამოვთვალოთ კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი.

ცხრილი (2.2.3)

შპს „GWP“-ის საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებლები წლების მიხედვით

წლები	X	X <sup>2</sup>
2014	1.44	2.074
2015	0.7	0.49
2016	1.18	1.392
2017	2.25	5.063
Σ	<b>4.57</b>	<b>9.019</b>

$$X \text{ (საშუალო)} = (\sum X) / n = 4,57 / 4 = 1,143$$

$$\text{საშუალო კვადრატული გადახრა} = \sqrt{((X^2/n) - (x^-)^2)} = \sqrt{((9.019/4) - (1.143)^2)} = 0.97$$

ვინაიდან საშუალო კვადრატული გადახრა 1 ახლოსაა, ბოლო 4 წლის განმავლობაში საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი მაღალი მერყეობით ხასიათდებოდა.

$$\text{ვარიაციის კოეფიციენტი (V)} = (\text{საშუალო კვადრატული გადახრა}) * 100 / X \text{ (საშუალო)} = 84,9 \%$$

გამოდის, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში აღნიშნული კოეფიციენტი საშუალოდ 85%-ით იხრებოდა საშუალო არითმეტიკულიდან.

როგორც ვიცით საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის ფულადი სახსრები, მიმდინარე მოთხოვნები, მარაგები და სხვა. ეხლა კი ერთ-ერთი ფაქტორის- ფულადი სახსრების გავლენის დასადგენად გამოვთვალოთ კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტები.

X-ით აღვნიშნოთ ფულადი აქტივები (ფულად თანხებს+მოთხოვნები) და Y-ით საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

ცხრილი (2.2.4)

კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტების გათვლისთვის საჭირო მონაცემები

წლები	X	Y	XY	X <sup>2</sup>	Y <sup>2</sup>
2014	18,131	1.44	26,109	328,73	2.074
2015	20,232	0.7	14,162	409,33	0.49
2016	45,181	1.18	53,314	2041,32	1.392
2017	60,111	2.25	135,250	3613,33	5.063
Σ	<b>143,65</b> <b>5</b>	<b>4.57</b>	<b>228,835</b>	<b>6392,71</b>	<b>9.019</b>

ამ მონაცემების საფუძველზე კორელაციის კოეფიციენტი  $R = \frac{n \cdot \sum xy - \sum x \cdot \sum y}{\sqrt{[n \cdot \sum x^2 - (\sum x)^2] [n \cdot \sum y^2 - (\sum y)^2]}} = 0,94$

ვინაიდან კორელაციის კოეფიციენტი ძალიან ახლოსაა ერთთან, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის კავშირი ძალიან ძლიერია.

ახლა კი ვნახოთ ფაქტორ-მაჩვენებლის გავლენა პროცენტებში, ამისთვის დავთვალოთ დეტერმინაციის კოეფიციენტი.

$D = 0,94^2 = 0,884$  ანუ 88,4%.

დეტერმინაციის კოეფიციენტის მიხედვით ბოლო 4 წელიწადში საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის ცვლილების 84,4% გამოწვეული იყო ფულადი აქტივების ცვლილებით. დანარჩენი კი სხვა ფაქტორების ცვლილებით იყო განპირობებული.

ამის შემდეგ ფინანსური სტაბილურობის დახასიათებისას უნდა განვიხილოთ ფარდობითი და აბსოლუტური მაჩვენებლებიც.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზისას შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები:

1. მოზიდული და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი/მოზიდული კაპიტალი

ის ფინანსური სტაბილურობის ზოგადი მახასიათებელია და მისი ზრდა დადებითი მოვლენაა.

2. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი/ აქტივების ჯამი

სასურველია ეს მაჩვენებელი 0,5 აღემატებოდეს. მისი შებრუნებული მაჩვენებელი კი გვიჩვენებს ფინანსურ დამოკიდებულებას და მისი ზრდა უარყოფითი მოვლენაა.

გარდა ამ მაჩვენებლებისა შეგვიძლია შევისწავლოთ მარაგების დაფარვის კოეფიციენტები.

3. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი = დაფინანსების „ნორმალური წყაროები“/მატერიალურ მარაგებთან

4. მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკ. სახსრებით = სსს/მატერიალურ მარაგებზე


5. დაფინანსების ნორმალურ წყაროებს მიეკუთვნება : საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულებები მოწოდებიდან და მიღებული ავანსები.

ახლა კი ჩვენი საანალიზო საწარმოს მიხედვით გამოვთვალოთ რამდენიმე მაჩვენებელი, ვნახოთ მათი დინამიკა და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. ფარდობითი მაჩვენებლებიდან შეგვიძლია გამოვთვალოთ საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის; საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის და ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

შპს „GWP“-ის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
1.საკუთ.სახსრები/ვალ დებულებები	1,58	1,77	2,05	0,86
2.საკ.კაპიტალის კონცენტრაციის	0,61	0,64	0,67	0,5
3. ფინანსური დამოკიდებულების	1,63	1,56	1,49	2,17

მოცემული მაჩვენებლები ბოლო 3 წლის განმავლობაში უმჯობესდებოდა, თუმცა ბოლო წელს შეიმჩნევა უარყოფითი ტენდენცია, რაც საყურადღებოა. მთლიანობაში კომპანია ბოლო 4 წლის განმავლობაში სტაბილურობით გამოირჩევა. გრაფიკულად კი შემდეგნაირად გამოიყურება:



ფინანსური სტაბილურობა აბსოლუტური მაჩვენებლებითაც შეიძლება დახასიათდეს.

გვაქვს სტაბილურობის 4 ტიპი:

1. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობაა, როცა მატერიალური მარაგები< საკუთარ საბრუნავ სახსრებზე;
2. ნორმალური მდგომარეობაა, როცა სსს< მატერიალურ მარაგებზე< ნორმალურ წყაროებზე;
3. არამყარი მდგომარეობაა, როცა მატერიალური მარაგები> დაფინანსების ნორმალურ წყაროებზე.
4. კრიტიკული მდგომარეობაა, როცა არამყარ მდგომარეობასთან ერთად ფირმას გააჩნია გადაუხდელი ვალდებულებები და სესხები

მოცემული საწარმოს სტაბილურობის მაჩვენებლებს 2014-2015 წლებში შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი (2.2.6)

შპს „GWP“-ის სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2014 წ. 31 დეკემბ.	2015 წ. დეკემბ.	გადახრა
1.მატერიალური მარაგები	2,386	2,379	-7
2.საკუთარი საბრუნავი სახსრები	8889	(13869)	-4980
3.დაფინანსების „ნორმალური წყაროები“	25891	28925	+3034

2014 წელს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა იყო აბსოლუტურად სტაბილური ვინაიდან მატერიალური მარაგები< საკუთარ საბრუნავ სახსრებზე, ანუ მთლიანად ფინანსდება საკუთარი სახსრებით, მოცემულ წელს მიმდინარე სესხიც საკმაოდ მცირეა შემდეგ წელთან შედარებით.

2015 წელს კი ფინანსური მდგომარეობა იყო ნორმალური ვინაიდან სრულდება შემდეგი უტოლობა:



საკუთარი საბრუნავი სახსრები<მატერიალურ მარაგები> დაფინანსების ნორმალური წყაროები.

ახლა კი გამოვთვალოთ შპს „GWP“-ის მოცემული დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები მომდევნო 2016-2017 წლებისთვის და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა.

ცხრილი (2.2.7)

შპს „GWP“-ის სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2016 წ	2017 წ
1.მატერიალური მარაგები	2,572	3,033
2.საკუთარი საბრუნავი სახსრები	7,974	42,669
3.დაფინანსების „ნორმალური წყაროები“ <sup>4</sup>	49029	70217

როგორც 2016 ასევე 2017 წლებში გვაქვს აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, ვინაიდან საკუთარი საბრუნავი სახსრები აღემატება მატერიალურ მარაგებს. როგორც აბსოლუტური ასევე ფარდობითი მაჩვენებლები გვიჩვენებენ ფინანსურ სტაბილურობას, თუმცა ფარდობითი მაჩვენებლებიდან გამომდინარე ბოლო წელს მცირედი დამაბულობა შეიმჩნევა წინა წლებთან შედარებით რაც გარკვეულ ყურადღებას მოითხოვს.

<sup>4</sup> დაფინანსების ნორმალურ წყაროებს მიეკუთვნება : საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულებები მოწოდებიდან და მიღებული ავანსები.

### 2.3 ფულადი ნაკადების მოძრაობა

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი. მისი მიზანია შევაფასოთ საწარმოში შემომავალი და გამავალი ფულადი თანხების მიზნობრიობა და მდგომარეობა. ანალიზი დაგვეხმარება დამატებით შევაფასოთ საწარმოს მიმდინარე ლიკვიდობა, ფულადი თანხების სიჭარბე ან დეფიციტი და თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროება.

ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასება ხდება ფულადი ნაკადების ანგარიშგების მეშვეობით.

#### ფულადი ნაკადების ანგარიშგების ზოგადი მიმოხილვა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროს და გამოყენებას მთელი წლის განმავლობაში. იგი მზადდება საკასო პრინციპით ანუ ასახავს რეალურ ფულად ნაკადებს“. [ი.ჭილაძე 2011:93]

ფულად საშუალებებს მიეკუთვნება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე. ფულადი თანხების ექვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები. რომელთაც დაფარვის მოკლე ვადა აქვთ და ადვილად იცვლებიან ნაღდ ფულზე, ხოლო მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით- ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებად, სადაც 1. ფულადი ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან მიეკუთვნება საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. ანუ მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები, სავაჭრო მიზნით დადებული კონტრაქტებთან დაკავშირებით გაცემული ან მიღებული თანხები. 2. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან- აქ ნაჩვენებია გრძელვადიანი აქტივების შეძენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული

ფულადი ნაკადები და 3. საფინანსო საქმიანობა გულისხმობს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში, რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით, ხოლო აღრიცხვის სტანდარტებით უპირატესობა პირდაპირ მეთოდს ენიჭება, რადგან მას მეტი ანალიზური მნიშვნელობა აქვს. მასში მოცემულია ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ხოლო არაპირდაპირი მეთოდის დროს წმინდა მოგება ან დასაბეგრი მოგება შესწორდება ხარჯებითა და შემოსავლებით.

ახლა კი განვიხილოთ შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული საკითხები და მოვახდინოთ შესაბამისი ანალიზი და გაანგარიშებები.

თავდაპირველად განვიხილოთ შპს GWP-ის წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკა ბოლო 4 წლის განმავლობაში.

ცხრილი (2.3.1)

შპს „GWP“-ის წმინდა ფულადი ნაკადები

მაჩვენებლები	საბაზის ო წელი 2014	2015		2016		2017	
		ათასი ლარი	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი	%-ად 2014	ათასი ლარი
1.ფულადი თანხების საწყისი ნაშთი	16,336	9,486	-	6,807	-	25,472	-
2.წმინდა ფულადი ნაკად.საოპერაც იო საქმიანობ	47,862	51,852	<b>108,3</b>	48,299	<b>101</b>	47,495	<b>99,2</b>
3.წმინ.ფულადი ნაკად.საინვესტ. საქმიანობიდან	(40,666)	(28,060)	<b>(69)</b>	(44746)	<b>(110)</b>	(139,574)	<b>(343)</b>
4. წმ.ფულადი ნაკად.საფინანსო საქმიანობიდან	(15148)	(26,029)	<b>(172)</b>	14,985	<b>98,9</b>	100,698	<b>665</b>

სავალუტო კურსის ცვლილ.გავლენა	1102	(442)	-	127	-	2958	-
ფულადი ნაკადები წლის ბოლოს	9486	6807	71,7	25472	269	37049	391

როგორც ვხედავთ, ფულადი ნაკადების სიდიდე ბოლო 4 წლის განმავლობაში იზრდებოდა და 2017 წელს თითქმის 4ჯერ გაიზარდა, რაც შეეხება წმინდა ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან ზრდის ტემპით ხასიათდება, ხოლო ბოლო წლებში გვაქვს ფულის დეფიციტი საინვესტიციო საქმიანობიდან ვინაიდან განსაკუთრებით გაიზარდა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რიცხვიც, ეს დეფიციტი ძირითადად ფინანსდებოდა სესხებით, რის გამოც წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა.

ამის შემდეგ საინტერესოა ვნახოთ რამდენი დღე სჭირდება აქტივებში დაბანდებულ ფულად სახსრებს კვლავ ფულადი სახით რომ დაბრუნდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ საწარმოს ფინანსური და საოპერაციო ციკლის მაჩვენებლებიც.

### ცხრილი (2.3.2)

#### შპს „GWP“-ის საოპერაციო და საფინანსო ციკლის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	საბაზისო წელი 2015	2016		2017	
		ფუ	%-ად 2015	კოეფიციენტი	%-ად 2015
1.საწარმოო მარაგები	2,379	2,572	108,1	3,033	127,5
2.შემოს.რეალიზაც	107,934	109,061	101	114,189	106
3.რეალ.პროდ.ღირებულება	33,494	30,339	90,6	33,012	98,6
4.მიმდინ.მოთხოვ	13,425	19,709	147	23,062	172

5.მიმდინარე ვალდებულებები	44,646	44,259	99,1	34,077	76,3
6.საწარმო მარაგ.ბრუნვის პერიოდი დღეებში <sup>5</sup>	25,9	30,9	119,3	33,5	129,3
7.მოთხოვნების ამოღების პერიოდი <sup>6</sup> დღეებში	45	66	146	74	164
8.ვალდებულ.დაფარვის პერიოდი დღეებში <sup>7</sup>	151	148	98	109	72
9.საოპერაციო ციკლის დრო დღეებში <sup>8</sup>	70,9	96,9	137	107,5	152
10.ფინანსური ციკლის დრო დღეებში <sup>9</sup>	-80,1	-51		-1	

როგორც ვხედავთ საწარმოო მარაგების ბრუნვის პერიოდი და მიმდინარე მოთხოვნების ამოღების პერიოდი გაზრდილია ბოლო წლებში, რამაც გამოიწვია საოპერაციო ციკლის ზრდის პერიოდიც რაც უარყოფითი მოვლენაა, თუმცა აღსანიშნავია რომ ვალდებულებების დაფარვის პერიოდი ბოლო წლებში მცირდებოდა, რამაც გამოიწვია 2017 წელს ფულის დეფიციტის 1 დღემდე შემცირება, რაც განსაკუთრებით მაღალი იყო 2015 და 2016 წლებში. ამიტომ უმჯობესია გადაიხედოს მოთხოვნების ამოღების საკითხი და შემცირდეს საოპერაციო ციკლი მომავალში.

კოეფიციენტებიდან კი მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი(L):

<sup>5</sup> საწარმოო მარაგების ბრუნვის პერიოდი(დღეებში)=(საწარმოო მარაგები)/(რეალიზ.პროდუქციის ღირებულება) \*365

<sup>6</sup> მოთხოვნების ამოღების პერიოდი=(მიმდინარე მოთხოვნები)/(შემოსავ.რეალიზაციიდან)\*365

<sup>7</sup> ვალდებულ.დაფარვის პერიოდი დღეებში=(მიმდინარე ვალდებულ.)/(შემოსავ.რეალიზაციიდან)\*365

<sup>8</sup> საოპერაციო ციკლის დრო დღეებში=საწარმოო მარაგების ბრუნვის პერიოდს+მიმდინ.მოთხოვნების ამოღების პერიოდი.

<sup>9</sup> ფინანსური ციკლის დრო დღეებში=საოპერაციო ციკლს-ვალდებულებების დაფარვის პერიოდი

1) L=ფულადი თანხები ანგარიშგებით/წლიურ შემოსავალთან.

ის გვიჩვენებს ყოველი 1 ლარი შემოსავლის მისაღებად ფულადი თანხების რაოდენობის საჭიროებას. მისი შებრუნებული მაჩვენებელი ახასიათებს ფულის ბრუნვის რიცხვს. ეს მაჩვენებლები საანალიზო საწარმოს მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი (2.3.3)

შპს „GWP“-ის ფულადი ტოლობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2014 წ. 31 დეკემბ.	2015 წ. 31 დეკემბ.	2016 წ. 31 დეკემბ.	2017 წ. 31 დეკემბ.
ფულ.თანხების დამაგრების კოეფ.	0,09	0,06	0,23	0,32
ფულადი თანხების ბრუნვის რიცხვი	12	16	4	3

მოცემული მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფულადი თანხების ბრუნვის რიცხვი 2015 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს, შესაბამისად 1 ლარი შემოსავლის გამომუშავებისთვის 2015 წელს უფრო ნაკლები თანხების ავანსირებაა საჭირო, რის გამოც დამაგრების კოეფიციენტი შემცირებულია. თუმცა მთლიანობაში ბოლო 2 წლის განმავლობაში საპირისპირო სურათს ვხედავთ, კერძოდ 2014 წელთან შედარებით ფულის ბრუნვის რიცხვი შემცირებულია, რაც უარყოფითი ტენდენციის მაჩვენებელია, 2017 წელს 2014 წელთან შედარებით 1 ლარი შემოსავლის მისაღებად უფრო მეტი ფულადი თანხები გახდა საჭირო რის გამოც დამაგრების კოეფიციენტი გაიზარდა.

მიუხედავად ამ მაჩვენებლის გაუარესებისა საგანგაშო ვითარება არ შეინიშნება ვინაიდან ლიკვიდურობის მაჩვენებელი ბოლო დროს საკმაოდ გაუმჯობესებულია.

## 2.4 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი

საწარმოს ფინანსური სტაბილურობას უზრუნველყოფს რესურსებში ავანსირებული ღირებულების დაუბრკოლებელი მოძრაობა. ფინანსურ მდგრალობაზე გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობის აქტივობის ხარისხი. როგორც წესი რესურსებში დაბანდებული თანხები გარკვეული დროის შემდეგ კვლავ გადაიქცევა ფულად რესურსად, ამიტომ რაც უფრო ახლოს იქნება რესურსების ბრუნვის პერიოდი დასაშვებ ნორმასთან, მით უფრო მყარი იქნება ფინანსური მდგომარეობა.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის დაჩქარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან ამ დროს გამოთავისუფლდება დამატებითი ფულადი სახსრები, რომელიც საწარმომ შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი პროექტის დასაფინანსებლად გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება დაეცეს, ვინაიდან ამ დროს წარმოიშვება ბრუნვაში დამატებითი სახსრების დაბანდების აუცილებლობა.

საქმიანობის წარმართვის დროს, საწარმო რესურსებს აბანდებს როგორც მიმდინარე ასევე გრძელვადიან აქტივებში. შესაბამისად გრძელვადიან აქტივებში დაბანდებულ ღირებულებას ძირითადი საშუალებები შეიძლება ვუწოდოთ, ხოლო მიმდინარეში- საბრუნავი საშუალებები.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ხარისხი ხასიათდება შესაბამისი მაჩვენებლებით, რომლებიც შეგვიძლია ზოგად და კერძო მაჩვენებლებად დავყოთ. ეს მაჩვენებლები ზოგადად 3 სახისაა: ბრუნვის რიცხვი- გვიჩვენებს წელიწადში რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული ღირებულება; ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში- რამდენი დღე ჭირდება ერთ შემობრუნებას და დამაგრების კოეფიციენტები- ისინი გვიჩვენებენ ერთი ლარი შემოსავლის მისაღებად საჭირო დასაბანდებელ ფულად თანხებს.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ზოგად მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- 1) ბრუნვის რიცხვი=წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან/მიმდინ.აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან.
2. ბრუნვის პერიოდი =მიმდინ.აქტივების საშუალო წლიურ ნაშთი \*365/ წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან;
3. დამაგრების კოეფიციენტი=მიმდინ.აქტივების საშუალო წლიურ ნაშთი/წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან;

მოცემული მაჩვენებლებში, მიმდინარე აქტივები დაკორექტირებულია ანუ გამორიცხულია ფულადი თანხები, ვინაიდან მოცემულ დროს მათი ბრუნვა აღარ ხდება.

კერძო მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ:

1. მასალის ბრუნვის რიცხვი= მატერ.დანახარჯები/მასალების საშ.წლიურ ნაშთი;
2. დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის რიცხვი= მზა პროდუქციის თვითღირებულება/დაუმთ.წარმოების საშ.წლიურ ნაშთი.
3. მზა პროდუქციის ბრუნვის რიცხვი=რეალიზებ. პროდ. თვითღირებულება/მზა პროდ. საშ. წლიური ნაშთი.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“ გადახდისუნარიანობის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ საბრუნავი საშუალებების მაჩვენებლებიც. როგორც ვიცით, სწორედ ავანსირებული ღირებულების ბრუნვის დაჩქარება წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, სწორედ ამ დროს გამოთავისუფლდება თავისუფალი ფულადი სახსრები. მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას შეიძლება ვუწოდოთ საბრუნავი საშუალებები და რამდენიმე მაჩვენებლის ანალიზით ვნახოთ როგორ იცვლებოდა შპს GWP-ის ბრუნვადობის მაჩვენებლები ბოლო 4 წლის განმავლობაში. მაჩვენებლებიდან განვიხილოთ, საბრუნავი საშუალებების ბრუნვის რიცხვი, პერიოდი და დამაგრების კოეფიციენტები.



ცხრილი (2.4.1)

შპს „GWP“-ის საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
1. მიმდინარე აქტივები საშ.წლიური ნაშთი	19,276	21,760	25,366	33,229
2. შემოსავალი რეალიზაციიდან	110,778	107,934	109,061	114,189
3. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი(2/1)*365	6	5	4	3
4. ბრუნვის პერიოდი დღეებში(365/3)	61	73	91	122
5. დამაგრების კოეფიციენტი	0,17	0,2	0,23	0,29

როგორც ვხედავთ საბრუნავი საშუალებების ბრუნვის რიცხვი ბოლო წლებში შემცირდა, თავის მხრივ გაიზარდა ბრუნვის პერიოდი, რაც უარყოფითი ტენდენციის მაჩვენებელია, როგორც ზემოთ ვნახეთ მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპმა ბევრად გადააჭარბა შემოსავალი რეალიზაციიდან ზრდის ტემპს. შესაბამისად გაიზარდა აქტივებში ავანსირებული ღირებულების შემობრუნების პერიოდიც. როგორც ვხედავთ დამაგრების კოეფიციენტიც შესაბამისად გაიზარდა. უმჯობესია გადაიხედოს საქმიან აქტივობას და შემცირდეს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობაც.

## 2.5 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შევავსოთ ფინანსური რისკის დონე, რომელიც ხორციელდება ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლების მეშვეობით. ფინანსური ლევერიჯი იკვლევს საწარმოს კაპიტალსა და სესხებს შორის კავშირს და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც იზრდება ნებისმიერი ნასესხები სახსრების რაოდენობა, იზრდება ფინანსური ლევერიჯის დონეც და მათასადამე ფინანსური რისკიც.

ზოგადად ლევერიჯის 2 სახე შეგვიძლია გამოვყოთ: ფინანსური და ოპერაციული ლევერიჯი. ანალიზი ხორციელდება შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით, სადაც ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

1. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = აქტივები / საკუთარი კაპიტალი  
რაც უფრო მეტი იქნება ეს კოეფიციენტი მით უფრო მაღალი იქნება ნასესხები კაპიტალის წილი და შესაბამისად რისკიც.

2. საოპერაციო მოგება / მოგება დაბეგვრამდე;

3. ჯამური ლევერიჯი = (საკ. კაპიტალს - სსს + გრძ. სესხები) / (საკუთ. კაპ. + გრძ. სესხები)

4. პროცენტის ლევერიჯი = (სესხის საპრ. ხარჯი + პრივ. აქციების დივიდენდი) / (მოგება დაბეგვრამდე + სესხის საპრ. ხარჯი)

გადახდისუნარიანობის რისკის შეფასებისთვის აგრეთვე შეგვიძლია გამოვთვალოთ

5. ბივერის კოეფიციენტი = (წმინდა მოგებას + ამორტიზაცია) / (გრძ. ვალდებ. + მოკლ. ვალდებულებები).

როცა კოეფიციენტი მოთავსებულია [0,17-0,4] გვაქვს საშუალო რისკი. როცა ნაკლებია 0,17-ზე გვაქვს მაღალი, ხოლო როცა მეტია 0,4-ზე დაბალი რისკი.

საოპერაციო ლევერიჯი კი გვიჩვენებს დანახარჯების სტრუქტურას, მუდმივ და ცვლად დანახარჯებად დაყოფის მიხედვით, რაც უფრო მაღალი მუდმივი დანახარჯები აქვს საწარმოს მით მეტია მისი ოპერაციული ლევერიჯი, მოცემული კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

1. ოპერაციული ლევერიჯი = მუდმივი ხარჯები / ცვლადი ხარჯები;

2. საოპერაციო მოგების %-ლი ცვლილება / რეალიზაციის %-ლი ცვლილება.

საოპერაციო და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლი კი ვიღებთ კომბინირებულ მაჩვენებელს, თუმცა ის შემდეგნაირადაც შეგვიზღოვია გამოვთვალოთ:

კომბ. ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ლი ცვლილება / რეალიზაციის %-ლი ცვლილება.

როდესაც ლევერიჯის მაჩვენებლები 1 ტოლია რისკი არ არსებობს, ხოლო რაც უფრო მეტია 1-ზე რისკიც მაღალია.

ცხრილი (2.5.1)

შპს „GWP“-ის ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2013 წ.	2014 წ.	2015წ.
საკუთარი საბრუნავი სახსრები <sup>10</sup>	2648	8889	(13869)
1.ფინანსური დამოკ.კოეფიციენტი	1,27	1,63	1,56
2.ჯამური ლევერიჯი	<b>0,99</b>	<b>0,97</b>	<b>1.05</b>
3.ბივერის კოეფიციენტი	-	<b>0,35</b>	<b>0,28</b>

მოცემული ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები ბოლო წლებში მომატებულია თუმცა საგანგაშო მდგომარეობა არ შეიმჩნევა, რაც შეეხება ბივერის კოეფიციენტებს 2015 და 2014 წლებში მაჩვენებლები საშუალო რისკის საზღვრებშია, თუმცა 2015 წელს უფრო მაღალი რისკი შეიმჩნევა წინა წელთან შედარებით.

ახლა კი ვნახოთ მოცემული საწარმოს მაჩვენებლები როგორ შეიცვალა ბოლო წლებში და რა შედეგები მივიღეთ. როგორც ვიცით საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ფინანსური რისკის დონე, რომელიც ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლებით გამოითვლება. ასე, რომ ჩვენი საწარმოს მაგალითზე განვიხილოთ ფინანსური და ოპერაციული ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენცია ბოლო 4 წლის განმავლობაში და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. გარდა ამ მაჩვენებლებისა ბოლოს შეგვიძლია გამოვთვალოთ გადახდისუნარიანობის რისკის შეფასების მაჩვენებელი, ე.წ ბივერის კოეფიციენტიც.

<sup>10</sup> საკუთარი საბრუნავი სახსრები გამოთვლილია როგორც მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები


თავდაპირველად განვიხილოთ ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლის ცლილებების ტენდენცია ბოლო 4 წლის განმავლობაში:

ცხრილი (2.5.2)

შპს „GWP“-ის ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
საკუთარი საბრუნავი სახსრები	8,889	(13869)	7,974	42,669
1.ფინანსური დამოკ.კოეფიციენტი	1,63	1,56	1,49	2,17
2.საოპერაციო მოგება/მოგება დაბეგვრამდე	1,49	2,48	1,6	2,83
3.ჯამური ლევერიჯი	0,97	1,05	0,98	0,91
4.ბივერის კოეფიციენტი	0,35	0,28	0,43	0,15

როგორც ვხედავთ ლევერიჯის მაჩვენებლები თითქმის მსგავს ტენდენციას გვიჩვენებენ, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ბოლო 3 წლის განმავლობაში იკლებდა, თუმცა 2017 წელს გაიზარდა, რაც გრძელვადიანი სესხის განსაკუთრების ზრდის შედეგია, იგივე სურათს გვიჩვენებს მე-2 კოეფიციენტიც, 2015 წელს მისი ზრდა საპროცენტო ხარჯების ზრდასთანაა დაკავშირებული, ხოლო 2017 წელსაც ვხედავთ მის ზრდას. გრაფიკულად ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:



1. ახლა კი გავიანგარიშოთ ოპერაციული ლევერიჯი, როგორც საოპერაციო მოგების %-ლი ცვლილება/რეალიზაციის %-ლი ცვლილება.

2. კომბ. ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ლი ცვლილება/რეალიზაციის %-ლი ცვლილება.

ცხრილი (2.5.3)

შპს „GWP“-ის სხვა ლევერიჯის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2015 წ. (2014 წ. % ცვლილება)	2016 წ. (2014 წ. % ცვლილება)	2017 წ. (2014 წ. % ცვლილება)
1. ოპერაციული ლევერიჯი	1,19	1,26	1,16
2. კომბინირებული ლევერიჯი	0,6	1,32	1,12

ორივე მაჩვენებელი ერთთან ახლოსაა რაც დაბალი რისკის მაჩვენებელია. ბივერის კოეფიციენტი კი, რომელიც მოცემულია ცხრილში (2.5.2) როგორც ვხედავთ 2014 და 2015 წლებში საშუალო რისკის საზღვრებშია, 2016 წელს დაბალი რისკი შეიმჩნევა,

თუმცა 2017 წელს ბივერის კოეფიციენტი ეცემა და გადახდისუნარიანობის მაღალ რისკს გვიჩვენებს რაც მეტად საყურადღებოა.

## დასკვნა

როგორც აღინიშნა საანალიზო საწარმო შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ წარმოადგენს წყალმომარაგების ერთ-ერთ კომპანიას. მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია წყლის რესურსის ეფექტიანად გამოყენება და მოსახლეობის წყალმომარაგება. აქედან გამომდინარე, საწარმოს ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობისა და ფინანსური შედეგების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

უშუალოდ პრაქტიკული გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ფინანსური ანალიზის მეთოდების გამოყენება, მათი მეშვეობით კი ფინანსური ანგარიშების ანალიზი გვაძლევს საჭირო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მოცემულ კვლევით ნაშრომში შპს GWP-ის ფინანსური ანალიზის ძირითად წყაროს წარმოადგენს 2014, 2015, 2016 და 2017 წლის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებები.

შპს GWP-ის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში იცვლებოდა დანახარჯების, შემოსავლების, მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების სტრუქტურა და დინამიკა. გვქონდა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტენდენციები. დანახარჯების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ბოლო წლებში შემცირდა ძირითადი მასალის, შრომითი და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რაც შეეხება საპროცენტო ხარჯებს ის თითქმის 3 ჯერ შემცირდა 2014 წელთან შედარებით. ხოლო შემოსავლებში გაიზარდა წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლები და ამავდროულად საპროცენტო შემოსავლებიც, თუმცა 2017 წელს შედარებით მკვეთრად გაიზარდა საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები. ამ ცვლილებებმა თავის მხრივ გავლენა მოახდინეს მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დანამიკასა და სტრუქტურაზე. დადებითი ისაა რომ ბოლო წლებში გაიზარდა მოგება რეალიზაციიდან და საოპერაციო მოგება, რომლის ზრდის ტემპიც წინ უსწრებდა მოგება რეალიზაციიდან ზრდის ტემპს. ბოლო წლებში საპროცენტო ხარჯებისა და მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების კვალდაკვალ გაუმჯობესდა მოგება დაბეგვრამდე და წმინდა მოგების

მაჩვენებლებიც. მიუხედავად ამისა, ბოლო 2017 წელს წინა წელთან შედარებით ეს ზრდის ტემპები იკლებს და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის მიხედვით, რომლებიც უკეთ გვიჩვენებენ საქმიანობის ეფექტიანობას, შეიმჩნევა გარკვეული უარყოფითი ტენდენციები. კერძოდ აქტივების მომგებიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ვინაიდან ბოლო წლებში აქტივების ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს შესაბამისი მოგების ზრდის ტემპებს, შემცირების ტენდენცია შეინიშნება კაპიტალის უკუგებასა და აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლებშიც, ბოლო წელს შეიმჩნევა გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდაც, ხოლო 2016 წელთან შედარებით საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების მკვეთრმა ზრდამ გავლენა მოახდინა მოგების მაჩვენებლებზეც. მიუხედავად ბოლო წელს არსებული სურათისა მაჩვენებლების ცვლილება არ არის საგანგაშო და უკიდურესი, თუმცა მეტად საყურადღებოა.

საწარმოს მომგებიანობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით უმჯობესია საწარმომ გადახედოს დანახარჯების მუხლებს და გააუმჯობესოს კონტროლის მექანიზმი. უმჯობესი იქნება ყურადღება გამახვილდეს აქტივების და შესაბამისად რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე, ხოლო საერთო ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო თუ არასაოპერაციო დანახარჯები გაანალიზდეს და მოხდეს მათი ეფექტიანად შემცირება. ამავდროულად უნდა მოხდეს ფაქტიური მონაცემების შედარება გეგმიურთან, და გადახრების არსებობისას მოხდეს გადახედვა და პრობლემის აღმოფხვრის გზების დადგენა.

როგორც ვიცით თუ საწარმო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არის როგორც მომგებიანი, ასევე გადახდისუნარიანიც აქვს მყარი ფინანსური მდგომარეობა. შპს GWP-ის ბოლო 4 წლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას გვაქვს შემდეგი ტენდენციები: ბალანსის მუხლების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზისას შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში მისის მუხლები ზრდის ტემპებით ხასიათდებოდა, თუმცა ერთმანეთის მიმართ განსხვავებული ტენდენციებით. კერძოდ, მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი მიმდინარე ვალდებულებებთან მიმართებაში უმჯობესდებოდა, ზრდის ტემპებით ხასიათდებოდა ფულადი მაჩვენებლებიც, რაც



თავისმხრივ აისახა ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. თუმცა როგორც ვიცით საწარმო ლიკვიდური უნდა იყოს, როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიანში პერიოდშიც. აქტივების ზრდის ტემპი ვალდებულებების ზრდის ტემპს თუ უსწრებდა ბოლო 3 წლის განმავლობაში, მე-4 წელს სიტუაცია მკვეთრად იცვლება, რაც გამოწვეულია გრძელვადიანი სესხის თითქმის გასსამმაგებით, იგივე შეიძლება ითქვას საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპზეც, ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი ზრდის ტემპი თუ უსწრებდა ვალდებულებების ზრდის ტემპს სიტუაცია შეიცვალა 2017 წელს. შესაბამისად ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებმა დაიწყეს გაუარესება 2017 წელს. ბოლო წლებში იზრდება წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, გაზრდილია ინვესტიციების რაოდენობა ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში რაც ძირითადად დაფინანსდა გრძელვადიანი სესხებით, შესაბამისად შემცირდა ფულის ბრუნვის რიცხვიც. რაც შეეხება საბრუნავ საშუალებებს ბოლო წელს აქაც შეიმჩნევა ბრუნვის რიცხვის შემცირება რაც უარყოფითი ტენდენციის მაჩვენებელია. მიუხედავად ბოლო წელს მომხდარი უარყოფითი ტენდენციებისა საწარმო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იყო როგორც გადახდისუნარიანი, ასევე ფინანსურად სტაბილური. მსგავს ტენდენციებს გვიჩვენებს ლევერიჯის მაჩვენებლებიც, რომლებიც ბოლო წლებში უმჯობესდებოდა თუმცა მომატებული რისკი აჩვენა 2017 წელს, იგივე სურათს გვაძლევს ბივერის კოეფიციენტიც, საწარმო გადახდისუნარიანი და ლიკვიდურია მოკლევადიან პერიოდში, თუმცა დამახულობა შეიმჩნევა გრძელვადიან პერიოდში.

აქედან გამომდინარე უმჯობესია საწარმომ გადახედოს გრძელვადიანი ვალდებულებების საკითხს, იზრუნოს საოპერაციო ციკლის შემცირებასა და დებიტორული ვალდებულებების ამოღების დაჩქარებაზე, ხოლო საბრუნავი საშუალებების რიცხვის ზრდით, გამოთავისუფლდება დამატებითი ფულადი სახსრები.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმო მოცემულ ეტაპზე ნორმალურად ფუნქციონირებდა. ბოლო 4 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულია, როგორც მომგებიანობა ასევე ფინანსური მდგომარეობა, დადებითი ტენდენციები აქარბებს უარყოფითს, ხოლო თუ ხელმძღვანელობა ყურადღებას გაამახვილებს და

გადახედავს 2017 წელს მიღებულ დაძაბულობას და გაატარებს შესაბამის ზომებს, შპს „ჯორჯიონ უოთერ ენდ ფაუერი“ შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულად ფუნქციონირებად საწარმოდ.

აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური ანალიზი გვამლევს მისი შეფასების, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას და გაუმჯობესების გზების დადგენას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ, „ეკონომიკური განვითარება“ თბილისი,2015;
2. ატკინსონი ე., კაპლანი რ., მმართველობითი აღრიცხვა, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი 2009;
3. გაგნიძე ი „კეთილდღეობის ეკონომიკა“თბილისი 2015
4. ვან ჰორნი, „ფინანსური მენეჯმენტი“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2008;
5. კვატაშიძე ნ, ხორავა ასრესელი ნ,გოგრიჭიანი ზ, „ფინანსური აღრიცხვა“გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014;
6. მენქიუ გ. „ეკონომიკის პრინციპები“ გამომცემლობა „დიოგენე“(მეორე ქართული გამოცემა) თბილისი,2008
7. ჭილაძე ი, „ფინანსური ანალიზი“ გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2011;
8. ჭილაძე ი „მმართველობითი აღრიცხვა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
9. ჭილაძე ი „მოგების გადასახადის აღრიცხვის სრულყოფის საკითხები“(მონოგრაფია) გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2012
10. ხარაბაძე ე „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2012;
11. ხარაიშვილი ე, ერქომაიშვილი გ, „ფირმის ეკონომიკა“ გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი 2011;
12. ჯიქია მ, ჩეჩელაშვილი რ, ბურდული ფ, „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
13. ჯიქია მ, „ფინანსური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
14. Rees B. Financial Analysis. Prentice Hall, 1990
15. [http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202016\\_opt.pdf](http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202016_opt.pdf);
16. <http://www.gwp.ge/ka/home>;
17. [http://www.rs.ge/common/get\\_doc.aspx?id=9918](http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918)
18. [http://www.gwp.ge/storage/wysiwygs/files/4\\_\\_\\_\\_\\_2014.pdf](http://www.gwp.ge/storage/wysiwygs/files/4_____2014.pdf)

19. [https://www.gwp.ge/storage/wysiwygs/files/GWP\\_IFRS\\_FS\\_2017\\_GEO.PDF](https://www.gwp.ge/storage/wysiwygs/files/GWP_IFRS_FS_2017_GEO.PDF)
20. <https://www.matsne.gov.ge>